



# მარკეტინგი

# სამართლებრივი



ISSN 1987-8729



სამართლებრივ-საიცორმაციო ჟურნალი

№8 (52), აგვისტო, 2015

დაავადებული მცენარის ზუსტი და  
დროული დიაგნოსტიკა  
უნდა და გარენტიროს ულ მოსავალს ნიშნავს



სსიპ საქართველოს ცეფლის მეურნეობის სამინისტროს  
ლაპონიათორია ქ. თბილისი, 3.მოძიანვილის ქ. 65  
(995 32) 2 53 0968  
[www.lma.gov.ge](http://www.lma.gov.ge)





დელავალის მობილური  
გადასატანი საწველი  
დანაღვარები



კომპანია დელავალის მფიციალური დილერი  
საქართველოში

**WORLD TECHNIC**  
**მსოფლიო ტექნიკი**

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

# უფრო ნაზი ვიღეთ მცველავის ხელვები

ჯერ კიდევ ხელით  
ნველით?

დელავალის (DeLaval) მობილური  
გადასატანი საწველი დანაღგარი



საქართველოს  
მეურნეობის  
მუნიციპალიტეტი



მოძოლი MMU11

დელავალის (DeLaval) მობილური  
გადასატანი საწველი დანაღგარი

ის რაც თქვენ გზირდეთ:

- შეგიძლიათ მოწველოთ 1-დან 16 ძროხამდე
- გაგიოლებთ შრომას
- იცავს ცურის ჯანმრთელობას
- ზრდის მონაწველი რძის რაოდენობას და ხარისხს
- იოლი მოსახმარია

კომანდის დელავალის  
ოფიციალური დილერი  
საქართველოში

**WORLD TECHNIC**  
**მსოფლიო ტექნიკა**

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
+995 2 90 50 00; +995 2 18 18 81



მოძოლი MMU12



მოძოლი MMU22

ტექნიკური დახასიათება

მოდელი	MMU11	MMU12	MMU22
საწველი ნაწილების რაოდენობა	1	2	2
ბიდონების რაოდენობა (უჟანგავი ფოლადი ტევადობა 25ლ.)	1	1	2
ბიდონების საერთო ტევადობა	25	25	50
რამდენი ძროხის მოწველა შეუძლია ერთ საათში	8	16	16
ცარიელი დანადგარის წონა (კგ.)	67	73	82
სიგრძე/სიგანე/სიმაღლე (მმ.)	1200/520/930	1200/520/930	1200/695/930
ვაკუუმის ტუმბოს წარმადობა (ლ./წთ.)	170	170	170
ძრავის სიმძლავრე (კვტ.)	0.75	0.75	0.75

თქვენი ყოველდღიური საიმედო დამხმარე



MASSEY FERGUSON



VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE



VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE

*Challenger*



 **AGCO**  
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
სამუშაო  
  
გენერიკ

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
+99 50 00; +2 18 18 81



**ახალი აგრარული**  
**საქართველო**  
**AKHALI AGRARULI SAQARTVELO**  
 (New Agrarian Georgia)  
 ყოველთვიური სამეცნიერო-  
 საინიციატივო ჟურნალი.  
 Monthly scientific-informative magazine  
 აგვისტო, 2015 წლის  
 №8 (52)

**სარეაქციო კოლეგია:**  
 შოთა მაჭარაშვილი (ძმ. რედაქტორი),  
 ნუგარ ებარიძე, რეზო ჯაბიძე, მიხეილ  
 სოხაძე, თამარ სანიაძე, ნოდარ ბეგვაძე,  
 ბექ გრინბერგი, გორგი ბარისაშვილი  
 (ტექნიკური და მეცნიერებების რედაქტორი), თამარ გუგუშვილი (ინგლ.  
 ენს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

**სამცნიერო საბჭო:**  
 აკრატიკული ჟურნალი, მეცნიერებათა  
 დოქტორები, პროფესორები:  
 რევოზ მახარაძელიე (თავმჯდომარე),  
 გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკრაძე,  
 ნოდარ ჩხატუშვილი, ნუგარ ებარიძე,  
 პატრი კოლუშვილი, ელგუჯა შეფაძე,  
 შოთა ჭალავაგანიძე, ზვარდ ბრეგვაძე,  
 ელგუჯა გუგუშვილი, ლევან უჯაბჯურიძე,  
 ზაურ ჯელებიძე, ზურაბ ჯინჯიაძე,  
 ქრისტი კახნაშვილი, ალენ ტევეშვილი,  
 ნატო კაცაძე, გუგური ქერია, კახა ლაშხი,  
 ომარ თეველიაძე, ჯამალ კაცაძე,  
 ნუგარ სარჯველაძე, თენგიზ გუგუშვილი,  
 ზურაბ ლილიძე, ქობა კობალაძე.

**გამოცემები:**

„აგრარული სექტორის  
 კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
 Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
 საქართველოს რეგიონული კუნძულიური  
 პრიორიტეტების კვლევითი ცნობრი „რეგიონია“;  
 Regionica — Georgian Research Center for Regional  
 Economic Priorities.  
**რედაქციის მისამართი:**  
 თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
 599 16-18-31  
 Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53  
[www.regionica.org/journal.html](http://www.regionica.org/journal.html)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
 „ოვერიული“  
 (ინფორმაციული დამზადებელი)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
 ახალი აგრარული საქრთველო

დააკაბდონა გორგი მაისურაძე  
 ურნალი ხელმძღვანელობს  
 თავისუფალი პრეზიდიონ.  
 The journal acts in accordance with the  
 principles of free press.  
 © საქართველო უფლება დაცულია.  
 All rights reserved.  
 რეფერირებადა 2011 წლიდან  
 დაიბჭიდა შპს „გამოცემლობა გრიფონში“

**WORLD TECHNIC**  
 მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)

**სამოწმონი შენიშვნი „ახალი აგრარული სამსახურები“!**  
**პრესის შემრცელების საუბრები:**

„ელვაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74;  
 „საქართველო“ (0 (32) 2518518).

**1 წლით ურნალის გამოცემა დის 24 ლარი,**  
**6 თვეთ – 12 ლარი.**

## ცოდნული წაიკითხვები:

**14**



## ურძის სიმზიშა და როველი

კლერტი მომწიფებულად ითვლება  
 მაშინ, როდესაც მტკვნის ყუნწის ის  
 ადგილი, რითაც იგი მიმარტებულია  
 ვაზის რქაზე, ნაწილობრივ ხმება.



**27**

## განური ინიციატივა: პო თუ არა?

გენმოდიფიცირებული მცენარეების  
 მტკვერი შეიძლება გადაეცეს გა-  
 რეულ სახეობებს.

**32**



## სამოწმო-სამსახური კულტურების წარმოების სამართლო ტექნიკონიები

ერთნლიანი კულტურების მოვლა-  
 მოყვანისა და აღების ტექნოლოგი-  
 ების შემადგენელი ოპერაციები შე-  
 იძლება დავყოთ სამ ძირითად ციკ-  
 ლად.

სამოწმო-სამსახური

**6** მარტისაშესად

IFAD-ის „სოფლის მურნეობის  
 ხელშეწყობის პროექტი“ [ASP]  
**6** სრულდება

**7** როგორი სამოწმო-სამსახური  
 წარმოების საესივისა

სამოწმო-გრძელების სამსახური  
 გაზოვნილი მოყვანის  
 მაღალაუარის მიზანით და მარტინი  
 სარტყელი აირობებისათვის

ფიტოსანიტარული  
 დაგრძელების მიზანით  
**16** დიაგნოსტიკა - აირობები და გარეული  
 წარმატებისათვის

**18** კარტოფილის კიპო

ფარგლენულ მურნეობაზე  
**20** სეპარიაციულ კულტურათა  
 ზოთაცანობის პროცესისათვის

ერთობის კულტურების  
**23** მეცნარეთა დაცვის სამართლო  
 სარეალურო ტექნიკონიების

გარმაცელი აგრარული  
**25** განათლების სისტემა მოწინად  
 არაეტიკული დაფუძნებული

**31** რობოტების სამართლის და  
 სახალი მოწყობილობები

**34** აკადემიკოსი ვალერიან  
 ცაცავა

**35** ინორის მოვლა, მოყვანა და  
 სხვა სასარგებლო რჩვები

შენიშვნი „ახალი აგრარული სამსახურები“ რეზენტირებაზე 2001 წლიდან.



## სასოფლო-სამურნო კოოპერაციების მხარდასაჭრად

არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“ და მისი აარტილი ინფორმაციაში „ურარული კოოპერაციების განვითარება სამართველოს სასოფლო მუნიციპალიტეტებში“ პროგრამის ფარგლებში. არარამ ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამურნო კოოპერაციების განვითარების მხარდასაჭრადს.

პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის მიერ „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD) პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას, რათა მათ განავითარონ და გააფართოონ თავიანთი ბიზნესი ტრეინინგების, ცნობიერების ამაღლებისა და საინვესტიციო მხარდაჭერის გზით. აღნიშნული ინიციატივა ეხება იმ რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც ფუნქციონირებენ პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტებში: საჩხერე, ჭიათურა, ვანი, სამტრედია, ქარელი, ხაშური, კასპი, გორი, საგარეჯო, გურჯაანი, ყვარელი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალქალაქი და ნინოწმინდა.

აღნიშნული ინიციატივაში მონაწილეობის მისაღებად სასოფლო სამეურნეო

კოოპერატივები უნდა აკმაყოფილებ-დნენ შემდეგ კრიტერიუმებს: იურიდიულად რეგისტრირებული, მოქმედი ბიზნესერთეული, რომელსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი (დოკუმენტური მტკიცებულება აუცილებელია); ამჟამად ფუნქციონირებს ზემოთ აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტში; შეუძლია მინიმუმ 15% თანხომივი (ნალი ფულით) და 15% არათანხომივი თანამონანილეობა ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ინიციატივაში მონაწილეობა არ იძლევა ფინანსური მხარდაჭერის გარანტიას.

ელექტრონული სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომია 2015 წლის 15 ივნისიდან „მერსი ქორფსის“ ვებ-საიტზე: [www.mercycorps.ge](http://www.mercycorps.ge)

ზემოთ აღნიშნული ინიციატივისა და ENPARD-ის პროგრამის შესახებ

მეტი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით „მერსი ქორფსის“ რეგიონულ კოორდინატორებს ტელეფონის შემდეგ ნომრებზე ადგილმდებარეობების მიხედვით:

— **საჩხერე, ჭიათურა:** ამირან ჭილაძე — 599 929 245

— **ვანი, სამტრედია:** ნუგზარ ჯინჯიძე — 599 910 056

— **ხაშური, ქარელი:** ვასო ბუთხუზი — 599 468 746

— **გორი, კასპი:** ივანე ლაზარაშვილი — 595 075 249

— **საგარეჯო, გურჯაანი, ყვარელი:** ირაკლი ღავანაშვილი — 599 172 719

— **მარნეული, თეთრიწყარო, გარდაბანი:** ირაკლი ჯავახაშვილი — 595 075 251

— **ნინოწმინდა, ახალქალაქი:** სერგეი შაბეგიანი — 599 193 662

შევსებული სააპლიკაციო ფორმის ჩაბარების ბოლო ვადა 2015 წლის 1 სექტემბერი. სააპლიკაციო ფორმა უნდა გამოაგზავნოთ ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: [enpard@mercykorps.ge](mailto:enpard@mercykorps.ge), რომელსაც თან უნდა დაერთოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატის დასკანერებული ვერსია.



### ინფორმაცია

## IFAD-ის „სოფლის გაურეობის ხალხურობის აროები“ (ASP) სრულდება

აღნიშნული აროები სამართველოში სარჩავი სისტემითა და კი შედა ქსელების რეაბილიტაციაზე იქმო ინიციატივის კოოპერატივის განვითარების 65 კილომეტრამდე სიგრძის სარჩავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა.

IFAD-თან თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ახალი პროექტი სარწყავი სისტემის რეაბილიტაციასთან ერთად კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც იქნება ორიენტირებული.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი” (ASP), რომელსაც საქართველოს მთავრობა, 2010 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის

(IFAD) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა, მიზნად ისახავდა ინფრასტრუქტურული პრობლემის აღმოფხვრასა და ფერმერების ეკონომიკურად გაძლიერების ხელშეწყობას. პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისა და სარწყავი წყლის მინიდებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უზყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია 14,400 კომლი, გასარწყავიანდა 11,000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

# რომელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების საეციფიკა

საქართველო უპველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოვალების მოწინავე გამოცდილების ძველანაა. ძართველები სამიზანოდ მიღება მომზადების მიზანის სამიზანში იღვნევ და მიღება მომზადების მათთვის არა მხოლოდ უკალო სამეურნეო სამიზანები, არამედ ერთგვარი ლატისმასახურება იყო. ყოველივე აგან განააირობა ძართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრავებები ამავებიც ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარეობს.

საქართველოში ათასწლეულების მანძილზე იხვერდოდა და მკვიდრდებოდა მეურნეობის გაძლიერისა და ბუნებათსარგებლობის პრინციპები, მისი მოვლა-პატრონობის უნიკალური წესები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძლიერის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ნიადაგდაცვით მინათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველობას ეფუძნებოდა.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული მეურნეობა მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებისგან შედგება, რომლებიც ქმნიან ერთიან სამეურნეო კომპლექსს. მათ გააჩნია როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. კერძოდ, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან გამოყენებული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტრუქტურის, შექმნილი პროდუქციის გამოყენების, აღნარმოების, შრომის ხასიათისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

სოფლის მეურნეობას, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს ერთ-ერთ დარგს, ასევე გააჩნია ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და ამავე დროს სანარმოო-ეკონომიკური ფუნქციონირების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში მოქმედებს იგივე ეკონომიკური კანონები, რაც ეროვნული მეურნეობის სხვა

დარგებში. მაგალითად, საბაზრო ფასწარმოქმნის კანონი, წარმოების შეფარდებითი უბირატესობის კანონი, მოთხოვნა-მინოდების კანონები და ა.შ. მაგრამ ამავდროულად მას, როგორც დარგს, გააჩნია მკვეთრად გამოხატული დარგობრივი სპეციფიკა და მახასიათებლები, ეკონომიკური კატეგორიები და განვითარების მიმართულებები.

დღეს, პრაქტიკულად, ალარ კამათობენ იმაზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე სოფლის მეურნეობა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან მიმართებაში (აյ მსჯელობენ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ობიექტურადაა არგუმენტირებული ასეთი დახმარების საჭიროება). კამათობენ მხოლოდ იმაზე, თუ რა თავისებურებები ახასიათებს სოფლის მეურნეობას ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აგრარულ სექტორს გააჩნია 5 სპეციფიკური თავისებურება (ჯაში ი. – სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა ორგანიზაცია, 1968. საღარეიშვილი ი. – სოფლის

მეურნეობის ეკონომიკა, 1973. ქარქაშაძე ნ. ბერუჩაშვილი დ. ოდიშვილი მ. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 1975წ. და სხვ.), ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი თავისებურება სოფლის მეურნეობას 7-დან 9-მდე აქვს (სეროვა ე. ვ. – აგრარული ეკონომიკა, 1999. მინაური ი. ა. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2005. კოვალენკო ი. ა. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2000. სამუელსონი პ. და ნორდჰაუსი ე. – ეკონომიკა, 2000. რიჩარდ ლ. კოლზი და ჯოზეფ ნ. ული, – სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარკეტინგი, 1998 წ. და სხვები).

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციფიკა ვლინდება როგორც უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა-მინოდების კანონების სპეციფიკურ გამოვლინებას უკავშირდება. კერძოდ,

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებანი:

1. სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს მანქანა-იარაღებთან, ტრაქტორებთან, სატრანსპორტო და სხვა სამუალებებთან ერთად ბიოლოგიური (ცოცხალი) ძირითადი სანარმოო საშუალებები (კაპიტალი) წარმოადგენს. აღნიშნულის გამო აქ ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული





ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების მოქმედება, ანუ სოფლის მეურნეობაში როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე მისი აღწარმოების ეკონომიკური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ ბიოლოგიურ პროცესებთან. ამასთან ერთად, პროდუქციის წარმოების პროცესი და ამ საქმიანობის ეკონომიკური შედეგი დროში არ ემთხვევა ერთმანეთს (ანუ ადგილი აქვს მკვეთრ შეუსაბამობას დანახარჯების განევისა და ამოგების პერიოდებს შორის), რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების არსებით განსხვავებულობას სხვა დარგებთან შედარებით.

2. სასოფლო-სამეურნეო წარმოება განლაგებულია შედარებით დიდ და ღია სივრცეზე. ამასთან ერთად, თუ მრეწველობის სხვადასხვა დარგში შრომის საშუალებები ადგილზეა სტაციონარულად დამაგრებული და ისე ამჟავებენ შრომის საგნებს (ხორბალს, ტყავეს, ლითონს და ა.შ.), მინათმოქმედებაში პირიქით – აქ გამოყენებული მანქანა-იარაღები თავად გადაადგილდება დასამუშავებელ ობიექტზე (მინის სავარგული, ერთნელიანი წათესები, მრავალწლიანი წარგვები), რის გამოც ენერგეტიკული რესურსების დიდი წანილი იხარჯება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ადგილონაცვლეობაზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინათმოქმედებაში გამოყენებული წარმოების ძირითადი კაპიტალი (მინისა და მცენარის სახით)

აბსოლუტურად იმობილურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

წარმოების დიდ ტერიტორიაზე განვითარება ინვესტ როგორც ადგილზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ასევე მისი აღწარმოებისთვის საჭირო რესურსების (საწვავი, მინერალური სასუქები, კომბინირებული საკვები და ა.შ.) ტრანსპორტირებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს სხვა დარგებთან შედარებით.

3. სამრეწველო საწარმოებისგან განსხვავებით, სადაც ადამიანები და მანქანები მუშაობენ შედარებით სტაბილურ გარემო პირობებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაო პირობები, გარემო მოსავლის ბედი ცვალებადია, ანუ შრომის შედეგი დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მაღალია აგრარული კულტურა და იყენებენ მაღალინტენსიურ ტექნოლოგიებს, აგროწარმოების შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. გვალვების, წყალდიდობების, მცენარეთა და ცხოველთა მავნებელ-დავადებათა გავრცელების დიდი აღბათობა ამ სექტორში გარანტირებული შედეგის მიღების შენსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

კაპიტალდაბანდებათა შედარებით მაღალი რისკი, თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საჭირო ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შექმნილი პროდუქციის საკმაოდ დიდი წანილი (საშუალოდ

20 პროცენტამდე) მონაწილეობს პროდუქციის აღწარმოების პროცესში (თესლის და სარგავი მასალების, მოზარდი პირუტყვის, საკვების და სხვათა სახით), რის გამოც წლის განმაცლობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო პროდუქციად.

აღწარმოების პროცესის ასეთი პრაქტიკა ინვესტ ძირითადი და საბრუნავი ფონდების (კაპიტალის), აგრეთვე წარმოებული პროდუქციის განაწილებისა და გამოყენების ბალანსების დამუშავების და სასაწყობო მეურნეობის განვითარების აუცილებლობას (თესლეულის, პირუტყვის საკვების და სხვა საბრუნავი საშუალებების შესანახად).

5. არსებითი განსხვავება არსებობს აგრეთვე ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით, რაც განპირობებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონური ხასიათით, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გადაადგილების ტერიტორიულ-სივრცობრივი ფაქტორით. მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკით გათვალისწინებულ არასამუშაო პერიოდებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მართალია, გაჩერებულია, მაგრამ ის კვლავ რჩება წარმოებაში (საჭიროებს ტექნიკურ მოვლას, დაცვას და ა.შ.), ანუ ადიდებს დანახარჯებს.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების სეზონური ხასიათი ზრდის მოთხოვნას მანქანა-იარაღებზე, რაც ამცირებს მათ შრომის ნაყოფიერებას. ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტურიანობის ასამაღლებლად საჭირო ხდება მისაბმელი მანქანა-იარაღების უნივერსალიზაცია წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტექნიკური საშუალებით სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად.

6. სოფლის მეურნეობა სხვა დარგებისგან არსებითად განსხვავდება მიმთაც, რომ აქ წარმოების ძირითად და დღეისთვის უალტერნატივი საშუალებად მინა გვევლინება. მინა თავისი ბუნებით და ეკონომიკური ნიშნებით არა მარტო სასოფლო-

სამეურნეო წარმოების შეუცვლელი, არამედ, სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, წარმოების მუდმივი საშუალებაცაა.

მიწა გამოიყენება პრაქტიკულად ყველა სახის წარმოებაში, მაგრამ თუ მატერიალური და არამატერიალური წარმოების სხვა დარგებში მიწა გამოიყენება როგორც ბაზისი, საყრდენი შენობა-ნაგებობების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების, ტექნიკური და სხვა საშუალებების განთავსებისთვის, სოფლის მეურნეობაში ის გამოიყენება ერთნალიანი და მრავალნალიანი კულტურების მოყვა-მოყვანისათვის, პირუტყვის საძოვებლად, კულტურული ლანდშაფტების მოსაწყობად, ახალი ენერგიის შესაქმნელად ორგანული ნივთიერებების სახით.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება სოფლის მეურნეობაში, სხვადასხვა ნაყოფიერებისაა, რაც განსაზღვრავს მის ვარგისიანობასა და ხარისხს. მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწა იყო და დღესაც რჩება სოფლის მეურნეობაში ერთდროულად როგორც ძირითად შრომის საშუალებად, ასევე ძირითად შრომის საგნად.

ბ) საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკა სოფლის მეურნეობაში

1. უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი წარმატებების (მათ შორის ე.წ. „მწვანე რევოლუცია“, „დაავადებათა გამძლე და მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პრუტყვის ახალი ჯიშების შექმნა, მიღწევები ბიოტექნოლოგიაში და ა.შ.) მიუხედავად, სოფლის მეურნეობა დღემდე კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე „კონსერვატიულ“ დარგად. საუკუნეების განმავლობაში აქ ძირეულად არაფერი შეცვლილა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი და სხვ.) სასარგებლო თვისებების (ანუ პროდუქტის სარგებლიანობის) ზრდის თვალსაზრისით. როგორც საუკუნეების წინათ, აქ კვლავ მეორდება კულტურათა თესვა, მოვლა-მოყვანის სამუშაოები, მოსავლის აღება და დანიშნულებისამებრ გამოყენება. მართალია, გაიზარდა

წარმოების ტექნოლოგიური დონე, მოსავლიანობის და სხვა მაჩვენებლები, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მარცვლოვანი თუ სხვა რომელიმე სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახმარი ღირებულება (ანუ საქონლის თვისება), დააკმაყოფილს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება) კვლავ უცვლელი რჩება. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, მომხმარებლისთვის სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონლის სარგებლიანობის დონის ამაღლება დღემდე პრაქტიკულად არ მომხდარა.

აღნიშნული სიტუაციის გამო სოფლად საქონელმწარმოებლები, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთაგან განსხვავებით, შეზღუდული არიან წარმოებულ პროდუქციაზე ფასების მომატების საქმეში მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავებელი ან მრეწველობის სხვა დარგების სანარმოები ამ მხრივ არსებით შეზღუდულობას არ განიცდიან. მაგალითად, ლვინის ჩამომსხმელი სანარმოები, საკონსერვო მრეწველობის, ტანსაცმლის ან სხვა მზა პროდუქციის მწარმოებელი სანარმოები, რომელთაც საქონლის გაფორმების, დიზაინის, ეტიკეტირების, შეფუთვის და სხვა მრავალი ოპერაციის ხარჯზე შეუძლიათ გაზარდონ ფასი და მიღლონ შესაბამისი მოგება.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების მკაფრი შეზღუდულობა (ანუ

მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის სასარგებლო ორგანულ-ფიზიკურ თვისებათა პრაქტიკული უცვლელობა) თავის მხრივ, როგორც წესი, განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მისი აღნარმოების საშუალებებზე ფასების პარიტეტის ცვლილებებს არა სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან დაკავშირებული მომსახურე დარგების სასარგებლოდ.

3. სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის ელასტიკურობა, როგორც წესი, დაბალია როგორც პროდუქციაზე არსებული ფასების, ასევე მომხმარებლის შემოსავლების მიმართ. კერძოდ, მომხმარებელი სურსათს შეიძენს პრაქტიკულად უცვლელი ოდენობით მიუხედავად მასზე ფასების მატების თუ კლებისა (გამომდინარე ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობიდან).

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების მაგალითზე გამოთვლილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის 10 პროცენტით გადიდებისთვის საჭიროა ამავე პროდუქციაზე ფასების დაწევა სულ მცირე 40-50 პროცენტით.

არაელასტიკურია სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სასურსათო საქონელი მომხმარებლის შემოსავლების მიმართაც. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ თუ პიროვნებას ან ოჯახს უჩნდება



დამატებითი შემოსავლები, მაშინ  
მთელი შემოსავლების მხოლოდ  
მცირე ნაწილი იხარჯება დამატებით  
საკვების შესაძენად, რადგან  
ადამიანს არ შეუძლია მოიხმაროს  
იმაზე მეტი საკვები, ვიდრე მისი  
ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა.

4. სოფლის მეურნეობის  
პროდუქციასა და სასურსათო  
საქონელზე მოთხოვნის დაბალი  
ელასტიკურობა განაპირობებს  
მასთან დაკავშირებულ სხვა  
პრობლემებს. კერძოდ, როგორც  
ცნობილია, სამეცნიერო-ტექნიკური  
პროგრესი განაპირობებს  
პროდუქციაზე როგორც  
მოთხოვნის, ასევე მისი მიწოდების  
სტიმულირებას, მაგრამ, როგორც  
წესი, სოფლის მეურნეობის და  
სასურსათო საქონელზე მოთხოვნის  
დაბალი ელასტიკურობის გამო მათი  
ერთობლივი მიწოდება იზრდება

მოსალოდნელი ზარალის თავიდან  
ასაცილებლად (განსხვავებით სხვა  
დარგებისგან, სადაც პროდუქციაზე  
მოთხოვნის შემცირებას მყისიერად  
შეიძლება მოჰყვეს მიწოდების  
შემცირებაც). სოფლის მეურნეობაში  
ასეთი სწრაფი რეაგირება მოთხოვნის  
ცვალებადობაზე ვერ ხერხდება იმის  
გამო, რომ ხარჯების დიდი ნაწილი  
აქ მუდმივი ხასიათისაა და მათი  
შემცირება (ან გადიდება) დროის  
ნებისმიერ მონაკვეთში საბაზრო  
კონიუნქტურის ცვლილებისას  
შეუძლებელია. ასე მაგალითად,  
სოფლის მეურნეობის პროდუქციის  
ნარმოებისთვის საჭირო ისეთი  
ხარჯები, როგორიცაა მინის რენტა  
(იჯარის გადასახადი), ბანკიდან  
აღებული სესხის პროცენტი,  
სარემონტო და საექსპლუატაციო  
ხარჯები, შენობა-ნაგებობების,  
მანქანა-ტრაქტორების და სხვა

სასოფლო-სამეურნეო ნარმოების  
სპეციალიზაციის და გადაადგილების  
დროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია  
მათი მხედველობაში მიღება  
კონკრეტული საწარმოს  
პროგრამის დამუშავებისას,  
ნარმოების ერთეულების  
შერჩევის, საქონლიანობის  
დონის, ბაზარზე პროდუქციის  
მიწოდების მოცულობისა და სხვა  
მნიშვნელოვანი ეკონომიკური  
პარამეტრების განსაზღვრის დროს.

ეროვნული მეურნეობის სხვა  
დარგებისგან განსხვავებულ ნიშან-  
თვისებათა ერთობლიობა, საწარმო  
პირობებისა და ნარმოებული  
პროდუქციის რეალიზაციის  
შეფარდებითი სირთულე,  
დარგისათვის დამახასათებელი  
მაღალი ფონდტევადობა, აგრეთვე  
დარგში კაპიტალური დაბანდებების  
საკმიოდ მაღალი რისკი და  
შედარებით დაბალი ეკონომიკური  
ეფექტი უქმნის სახელმწიფოთა  
მთავრობებს „მორალურ“  
საფუძველს, გაატარონ სასოფლო-  
სამეურნეო ნარმოების სახელმწიფო  
მხარდაჭერის აქტიური პოლიტიკა  
(დოტაციების, გრანტებისა  
და სუბსიდიების გამოყოფით,  
სოფლის მეურნეობის პროდუქციის  
გარანტირებული შესყიდვით,  
კრედიტზე ხელმისაწვდომობის  
გაზრდით და სხვა ბერკეტებით).

დასასრულ, სოფლის მეურნეობისა,  
როგორც მატერიალური ნარმოების  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი  
დარგის თავისებურებები  
ძირითადად განპირობებულია  
სასოფლო-სამეურნეო ნარმოებაში  
გამოყენებული კაპიტალის  
(მინა, მცენარე, ცხოველი,  
ფრინველი) და ბუნებრივი გარემო  
პირობების (წყალი, სითბო, მზის  
სინათლე) სპეციფიკურობით,  
რაც, თავის მხრივ, განაპირობებს  
სპეციფიკურ საწარმოო-  
ეკონომიკურ ურთიერთობებს  
სოფლის მეურნეობის პროდუქციის  
ნარმოების, გაცვლის, მიმოქცევისა  
და მოხმარების პროცესში.

**პარამეტრული, სტუპროდუქტორი, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი**

**გივა გავარიძე,**  
**საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი**



უფრო სწრაფად, ვიდრე ერთობლივი  
მოთხოვნა. ეს ფაქტი ფასების  
დისპარიტების მუდმივ ზრდასთან  
ერთად განაპირობებს სოფლის  
მეურნეობის დარგის ერთობლივი  
ამონაგების შეფარდებით შემცირებას  
მატერიალური ნარმოების სხვა  
დარგებთან შედარებით.

5. სოფლის მეურნეობის  
პროდუქციის ნარმოებისთვის  
საჭირო საწარმოო ციკლის  
შედარებით ხანგრძლივი პერიოდი  
და საწარმოო რესურსების  
მობილურობის დაბალი ხარისხი  
განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო  
ნარმოების დანახარჯებში მუდმივი  
დანახარჯების პრიმატს ცვლად  
დანახარჯებთან შედარებით. ასე  
მაგალითად, სოფლის მეურნეობის და  
სასურსათო საქონელზე მოთხოვნის  
შემცირებისას შეუძლებელია მისი  
მიწოდების ადეკვატური შემცირება

ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია  
და სხვა ხარჯები მენარმის მიერ  
მაინც უნდა იქნეს განეული,  
მიუხედავად იმისა, მის მიერ  
ნარმოებულ პროდუქციაზე ფასები  
მცირდება თუ იზრდება. წინააღმდეგ  
შემთხვევაში მისი ეკონომიკური  
ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო  
გაიზარდოს ძირითადი კაპიტალის  
დაუცველობის ან მოუვლელობის,  
საჯარიმ სანქციების და სხვა  
მოსალოდნელი ხეგატიური  
შედეგების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობის  
დამახასიათებელი ნიშან-თვისებები  
ითხოვს ყოველმხრივ ანალიზს  
და გათვალისწინებას სხვადასხვა  
საწარმოო-ეკონომიკურ თუ  
ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში  
მატერიალურ-ტექნიკური  
ბაზის ფორმირების, ნარმოების  
მართვისა და ორგანიზაციის,

# სამეცნიერო ცოდნის პრინციპის მიზანის მიზანური ტექნიკის სარწყავი აირობის სათვის

დღეს მსოფლიოში არაქმიდულად ზოგადი ქვეყანა ცდილობს გაზარდოს სასურათო არომატიკის აღილობრივი ფარმაცევტიკული და მედიკული მიზანის სასურათო მიზანის მიზანი. ეს აუცილებელი სასურათო არიზის თავისი აცილების ან შედარებით იოლად გადატანის მიზნით. საგადინი არომატიკული გზას დაადგა ჩვენი ქვეყანაც. ამ უძინველოვანის არომატიკის გადამზადება შესაძლებელია ეროვნულ ზასულობებზე დამავიდებული, მეცნიერულად დასაგუთხებულ ტექნიკის გზით. არომატიკული კონცენტრაციის სოფლის მუშაობის განვითარებით.

საქართველოს მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი საკუთარი ნარმოების ხორბლის პროდუქციით. დღეისათვის ჩვენი ქვეყანა მოხმარებული ხორბლის მხოლოდ 8-10%-ს აწარმოებს.

პურით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკამაყოფილება ყველა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია, მით უმეტეს, თუ მას შესაბამისი რესურსები გააჩინა. ეს პრობლემა ყველაზე უფრო „მოკლევადიან“ გადაწყვეტას ექვემდებარება. საქართველოში იმის რეალური შესაძლებლობებია, რომ საკუთარი ნარმოების მარცვლით მოსახლეობის 80%-იანი უზრუნველყოფის საკითხი უახლოეს წლებში გადაიჭრას. იგი თავისი მნიშვნელობით სიღარიბის დაძლევის ტოლფასია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხორბლის ნარმოების გადიდებას, მისი მოსავლიანობის და ხარისხის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორბლის ნარმოებისთვის ხელსაყრდნობია, ნიადაგურ-კლიმატური პირობებია, აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხის არასაკმარისი დამუშავება და კორექტირება საშუალებას არ იძლევა გამოვლინდეს ამ კულტურის პოტენციური შესაძლებლობა. ნარმოებაში ახალი, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვის მიუხედავად,

საშემოდგომო ხორბლის ნარმოებისა და მოსავლიანობის დღევანდელი დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნული კულტურის მოსავლიანობა უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში საშუალოდ 15-20 ცენტნერს არ აღემატება ჰექტარზე.

საქართველოში მარცვლეული კულტურების ნარმოებაში ამჟამად გამოყენებული ტექნოლოგიები ჩამორჩება მსოფლიოს მიღწევებს. დარგის შემდგომი განვითარებისთვის პირველ რიგში საჭიროა, მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, საფუძვლიანად გადაიხდოს აღნიშნული კულტურების მოვლა-მოყვანის არსებული ტექნოლოგიები.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს საშემოდგომო ხორბლის მოყვანის ახალ, არატრადიციულ

მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხორბლის ახალი ინტენსიური ჯიშების პოტენციური შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მიწისა და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას და ამაღლებას და გარემო არის დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაწინა საშემოდგომო ხორბლის მოყვანის პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის დანერგვა ბაზობზე მისი თესვის წესის გამოყენებით.

ბაზობზე ხორბლის თესვის წესი, ანუ ხორბლის მოყვანა ბაზობზე მწკრივების განლაგებით, პერსპექტიულ ტექნოლოგიად ითვლება. იგი შემუშავებული იყო მექსიკაში და ფართოდ იქნა გამოცდილი და დანერგილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის, ირანის, ეგვიპტის, ჩილეს და რამდენიმე სხვა ქვეყნის სარწყავ რეგიონებში. სამხრეთ აზიაში ამ მეთოდით სარგებლობენ უკვე 25 მილიონ ჰა-ზე, ჩინეთში 13 მილიონ ჰა-ზე და ა.შ.

ტექნიკური თანამშრომლობის გერმანიის საზოგადოების (GTZ) და სიმინდისა და ხორბლის გაუმჯობესების საერთაშორისო



ბაზობზე ხორბლის ნათესი აღერების ფაზაში.

ცენტრის (CIMMYT) პროექტების დახმარებით აღნიშნული ტექნოლოგია 2000 წლიდან ინერგება ცენტრალურ აზიაში. გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიები: „საშემოდგომო ხორბლის ბაზოებზე მოყვანის ტექნოლოგია ყაზახეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში“ (Ж.Оспанбаев, 2003); „ბაზოებზე ხორბლის მოყვანის ტექნოლოგია ყირგიზეთში“ (В.Пожарский и др., 2003); „საშემოდგომო ხორბლის ბაზოებზე თესვა ტაჯიკეთში“ (Н.Шарипов, 2003); „ბუხარაში (უზბეკეთი) ბაზოებზე თესვის ცდების შედეგები“ (С.Бабоев и др., 2003); „საშ.ხორბლის ბაზოებზე მოყვანის ტექნოლოგია აზერბაიჯანის პირობებში“ (И.Джумшудов, 2004). აღნიშნულ შრომებში მოტანილია განსხვავებულ აგროკოლოგიურ პირობებში ჩატარებული კვლევის შედეგები. მათი ანალიზი უზვენებს, რომ მარცვლეული კულტურების ბაზოებზე თესვის ნესი ჩვეულებრივ მნიშვნელი თესვის ნესთან შედარებით უფრო ეფექტური და ხელსაყრელია ფერმერულ მეურნეობებში გამოყენებისათვის.

მშრალ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრთან (ICARDA) თანამშრომლობის პირობებში საქართველოში ჩვენს მიერ 2005-2007 წლებში ჩატარდა ექსპერიმენტი

კონკრეტულად: საშ. ხორბლის მოყვანის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიების – თესვის ნესისა და ნორმის – კორექტირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვლინდეს ამ კულტურის პოტენციური შესაძლებლობა კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო გარე კახეთის ზეგანის სარწყავი შავმინა ნიადაგი (მ.საბაშვილის სახელობის ნიადაგთმცოდნების, აგროქიმიკისა და მელიორაციის ინსტიტუტის სართიფალის საყრდენი პუნქტი, გარდაბნის რაონი). ცდა დაყენებული იყო ორ მინდორზე შემდეგი სქემით:

1. საშემოდგომო ხორბლის თესვა ტრადიციული ნესით (არსებული აგრონესების მიხედვით). მნიშვნელობის მანძილი 15 სმ, თესვის ნორმა 280 კგ/ჰა (ქარისმიერი ეროზიის ზონა). მორწყვა მთელ ფართობზე წყლის მიშვებით, მორწყვის ნორმა – 700 მ³; აზოტიანი სასუქების შეტანა ერთჯერად – მთლიანი დოზა ადრე გაზაფხულზე – ბარტყობის ფაზაში.

2. საშემოდგომო ხორბლის ბაზოებზე თესვა – ბაზოს სიგანე 60 სმ, მასზე განლაგებული სამი მნიშვნელით (მნიშვნელობის მანძილი 20 სმ); თესვის ნორმა 140 კგ/ჰა; მორწყვა – კვლებში წყლის მინდოებით. მორწყვის ნორმა – 550 მ³; აზოტიანი სასუქების შეტანა სამჯერადად – მცენარის

სმ სიღრმეში 3,8%; საერთო აზოტი, ფოსფორი და კალიუმი შესაბამისად 0,26; 0,11 და 0,98%; პიდროლიზური აზოტი - 5,2; მოძრავი ფოსფორი – 1,5 და გაცვლითი კალიუმი – 34 მგ/100 გ. ნიადაგზე; pH ( $H_2O$ ) – 7,8;  $CaCO_3$  – 3,5%; მინერალური სასუქები ორივე მინდორზე ყოველწლიურად შეიტანებოდა ერთნაირი დოზით – N90P120K90 კგ/ჰა;

მინდვრის ცდების ჩატარების პერიოდში (2005-2007 წ.წ.) საქართველოში ბაზოებზე მარცვლეულის სათესი სპეციალური სტანდარტული სათესები არ არსებობდა, ამიტომ მინდვრის ცდების ჩასატარებლად ბაზოებზე თესვა ჩავატარეთ ხელით.

ცხრილში მოტანილი ორი წლის საშუალო მონაცემებიდან ჩანს, რომ ბაზოებზე თესვის პირობებში ხორბლის პროდუქტული დაბურჩება გაცილებით მაღალია (4,0) ტრადიციული ნესით თესვასთან შედარებით (2,6 ცალი).

ბაზოებზე თესვის შემთხვევაში უკეთესია სხვა აგრონომიული მაჩვენებლებიც: მცენარის სიმაღლემ შეადგინა – 106 სმ; თავთავის სიგრძემ – 12 სმ; თავთავში მარცვლის რაოდენობამ – 49,5 ცალი; 1000 მარცვლის ნორმა – 48,5 ნაცვლად – 100; 11,1; 47,0 და 47,1-ისა შესაბამისად ტრადიციული ნესით თესვის შემთხვევაში.

მარცვლის მოსავლის მიხედვით შესაბარებელ ვარიანტებს შორის სხვაობა დიდი არ არის. ბაზოებზე მოსავალმა შეადგინა 42,2 ც/ჰა, რაც 0,7 ცენტნერით აღემატება ტრადიციული თესვის პირობებში მიღებულ მოსავალს.

თესვის ნორმის 140 კილოგრამამდე შემცირების პირობებში მიღებული თანაბარი მოსავალიც კი ფერმერების მხრიდან აღნიშნული ტექნოლოგიით დაინტერესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სათესლე მასალიდან დაზოგილი რესურსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საჭიროებებზე – სასუქების შეძენაზე, მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის საშუალებებზე და ა.შ.; მიღებული ორნლიანი ცდის შედეგები მიუთითებენ ბაზოებზე თესვის ნესის უპირატესობაზე

#### საშ.ხორბლის თესვის სხვადასხვა ნესის გავლენა მარცვლის მოსავალზე. (სართიფალა, 2006-2007 წლების საშუალო)

თესვის ნესი	მარცვლის მოსავალი, ც/ჰა	პროდუქტიული დაბურჩება (ცალი/მიზრზე)	მცენარის სიმაღლე, სმ	თავთავის სიგრძე, სმ	მარცვალი თავთავში, ცალი	1000 მარცვლის ნორმა, გ.
ტრადიციული (აგრონესებით)	41,5	2,6	100	11,1	47,0	47,1
ბაზოებზე თესვა	42,2	4,0	106	12,0	49,5	48,5

საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ბაზოებზე თესვის ნესის შესასწავლად. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საშემოდგომო ხორბლის ბაზოებზე მოყვანის თანამედროვე, მეცნიერებატევები ახალი ტექნოლოგიის დამუშავება ადგილობრივი ნიადაგურკლიმატური პირობების გათვალისწინებით. უფრო

განვითარების ფაზების მიხედვით: გაზაფხულზე ბარტყობის, დათავათავების და რძისებრ-ცვილისებრი სიმინიფის ფაზებით. თითოეული საცდელი მინდვრის ფართობი შეადგენდა 0,5 ჰა-ს; დათესილი იყო საშემოდგომო ხორბალი ჯიში – „უფხო-1“. საცდელი ნაკვეთის ნიადაგი ხასიათდება შემდეგი აგროქიმიური მაჩვენებლებით: ჰუმური 0-20



ბაზოებზე ხორბლის სათვესი

**ტრადიციული თესვის წესთან**  
შედარებით, საშემოდგომო ხორბლის  
მოყვანის ძირითადი აგროტექნიკური  
ღონისძიებების – **თესვის წესისა  
და ნორმის – კორექტირება**  
საშუალებას გვაძლევს გამოვლინდეს  
ამ კულტურის პოტენციური  
შესაძლებლობა.

აღნიშნული ტექნოლოგიის  
პრაქტიკული განხორციელება  
უზრუნველყოფა:

– საშემოდგომო ხორბლის თესვის  
ნორმის შემცირებას (40-50 %-ით);  
საარნები წყლის ეკონომიას (30-  
40%-ით); მორწყვის გაადვილებას  
და „ირიგაციული ეროზისგან“  
ნიადაგის დაცვას. მცენარის კვების  
არის ფართობის, ბარტყობის  
კოეფიციენტის, თავთავში მარცვლის  
რაოდენობის და კონდიციური  
თესლის გამოსავლიანობის გაზრდას;  
რიგთამრისებში კულტივაციის  
ჩატარების შესაძლებლობას,  
რაც განაპირობებს სარეველა  
მცენარეების კონტროლს  
ჰერბიციდების გამოყენების  
გარეშე (ან მათი შემცირებული  
დოზით გამოყენებას); ნიადაგის  
გაფევირებას, მცენარის ფესვთა  
სისტემის უკეთ განვითარებას  
და მაღალი მოსავლის მიღებას;  
მინერალური სასუქების  
ნილადობრივად, მცირე დოზებით  
შეტანას ოპტიმალურ ვადებში და  
ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის  
მიღებას მაღალი ხარისხობრივი  
მაჩვენებლებით (ცილებისა და  
ნებოგვარას მაღალი შემცველობით).

**ახალი ტექნოლოგიის**  
ერთ-ერთ მთავარ ღირსებას  
წარმოადგენს მისი მაღალი  
ეკონომიკური ეფექტურიანობა,  
რაც განპირობებულია: ერთის  
მხრივ, საშემოდგომო ხორბლის  
მოვლა-მოყვანის შედარებით იაფი  
ტექნოლოგიით და მეორეს მხრივ,  
მცირედ, მაგრამ, მაინც გაზრდილი  
მოსავლით (5-7 ც/ჰა) და, რაც  
მთავარია, მაღალი ხარისხობრივი  
მაჩვენებლების მქონე მარცვლის  
მაღალი სარეალიზაციო ფასებით.  
სუფთა მოგება ყოველ ჰექტარ  
ფართობზე ახალი ტექნოლოგიის  
გამოყენების შემთხვევაში  
დაახლოებით ორჯერ მეტია  
ტრადიციული წესით თესვის  
ტექნოლოგიასთან შედარებით.

ბაზოებზე მარცვლებულის თესვის  
ჩასატარებლად შესაძლებელია  
დღეისათვის ჩვენი ქვეყნის სოფლის  
მეურნეობაში გამოყენებული  
მარცვლებულის სათესი  
აპარატის და კულტივატორის  
მოდერნიზაცია მარტივი საინჟინრო  
გაანგარიშებების საფუძველზე.  
დანარჩენი სამექანიზაციო  
საშუალებების მოდერნიზაცია (მათ  
შორის არც კომბაინის) საჭირო  
არ არის. თუმცა, უმჯობესია  
ბაზოებზე სათესი სპეციალიზებული  
სტანდარტული აპარატის შემოტანა,  
რომელსაც სერიულად უშვებს  
ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის  
სატრაქტორო ქარხანა.

აღნიშნული ტექნოლოგიის  
გამოყენების მარცვლებულის  
და მაღალმწარმოებლური  
ტექნიკის გამოყენების პირობებში  
მარცვლებულის დარგის წარმატების  
უტყუარი გარანტიაა.

ქერის, შვრიის, სოიას, სიმინდის,  
ლობიოს და ა.შ. მოსაყვანად.

განსაკუთრებით ეფექტურია  
ბაზოებზე თესვის ტექნოლოგიის  
დანერგვა მეთესლეობაში და მცირე  
ფერმერულ მეურნეობაში.

ჩვენს მიერ გათვალისწინებული  
იყო ამ მიმართულებით  
უფრო ღრმა, კომპლექსური  
გამოკვლევების ჩატარება ბაზოებზე  
სპეციალიზებული სტანდარტული  
სათესის გამოყენებით (სამეცნიერო-  
კვლევითი მუშაობის გაღრმავება  
აგროტექნიკის და აგროქიმიის  
მიმართულებით). სამწუხაროდ,  
განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს მიერ 2009 წლიდან  
დაწყებულმა რეორგანიზაციამ  
აგრარული პროფილის სხვა  
ინსტიტუტებთან ერთად იმსხვერპლა  
ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების  
პრობლემებზე პროფილირებული,  
სოფლის მეურნეობის წარმატებული  
განვითარებისთვის სასიცოცხლოდ  
მნიშვნელოვანი მ.საბაშვილის  
სახელობის ნიადაგთმცოდნეობის,  
აგროქიმიის და მელიორაციის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი  
თავისი ექსპერიმენტული ბაზებით.  
შედეგად, რა თქმა უნდა, შეწყდა  
ყოველგვარი სამეცნიერო-კვლევითი  
საქმიანობაც. მოხარული ვიქენებით  
თუ ბაზოებზე თესვის ტექნოლოგიის  
დანერგვით დაინტერესდება  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ახალი ტექნოლოგია, რომელიც  
უნიკალურია თავისი შედეგებით  
სულ უფრო და უფრო მეტ ფერმერს  
დააინტერესებს, სტიმულს მისცემს  
მათ გაზარდონ მარცვლებულის  
ნათესი ფართობები.

მიგვაჩინა, რომ ჩვენს მიერ  
შემოთავაზებულ ტექნოლოგიაზე  
გადასვლა გარდაუვალად  
აუცილებელია. მისი განხორციელება  
უნდა მოხდეს თანდათანობით,  
მაგრამ არა ძალიან გაჭირებულ  
დროში. იგი თანამედროვე,  
მეცნიერებატევები ტექნოლოგიაა  
და მაღალმწარმოებლური  
ტექნიკის გამოყენების პირობებში  
მარცვლებულის დარგის წარმატების  
უტყუარი გარანტიაა.

**გუბოლა გარგველაშვილი,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აგრონომიული  
განყოფილების აკადემიკოს-  
მდივანი, აკადემიკოსი.



საქართველოში სიმწიფის ხუთივე პერიოდის ვაზის ჯიშები გვხვდება. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ვაზის ჯიშის მოსავალი დეკემბრის დასაწყისში ჯერ კიდევ დაუკრეფავია, ზოგი ჯიშის მოსავალი შესაძლოა აგვისტოს ბოლოს უკვე დაღვინებული და დაწმენდილიც კი იყოს... ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში მართლაც დიდი მრავალფეროვნება. სიმწიფის გვიანი პერიოდით გამორჩეული ვაზის ჯიშები, მაგალითად, კახეთისაგან განსხვავებით უფრო მეტად სამეცნიელო-აფხაზეთში გვხვდება, თუმცა ყოველ კუთხეს მაინც ახასიათებს ამ მხრივ გარკვეული მრავალფეროვნება. განასხვავებენ უურძნის სიმწიფის ორ ფაზას: ფიზიოლოგიური, ანუ უურძნის ბუნებრივი სიმწიფის ფაზა და მეორე – ტექნიკური სიმწიფე, როდესაც შესაძლოა ყურძენს თავის, ბუნებრივად შესაძლებელ პატიმალურ შაქრიანობას არც მიუღწევია, ან თუნდაც გადააბიჯა ამ ზღვარს, მაგრამ ზუსტად ასეთი, ანუ ტექნიკური სიმწიფე ესაჭიროება მეღვინეს იმისათვის, რომ მან ამა თუ იმ ტიპის ღვინო დაყენოს. ესე იგი, ყურძნის დაკრეფის, ანუ რთველის პერიოდს ასეთ დროს მეღვინეს თავად ღვინის ტექნილოგია კარნახობს. მაგალითად: მეღვინეს გამიზნული აქვს კახური ტიპის ღვინის დაყენება, რისთვისაც მას ესაჭიროება კონკრეტულად 23, ან 24% შაქრიანობის ყურძენი, მაგალითად რქანითელი. მაგრამ, თუკი ამ დროს რქანითელს აქვს შაქრიანობის 21, ან 22% იგი ფიზიოლოგიურ სიმწიფეშია, თუმცა მეღვინისათვის საჭირო შაქრიანობის კონდიცია ჯერ არ დამდგარა, ესე იგი ყურძენი ტექნიკურ სიმწიფეში შესული ჯერ არ არის. ყურძენი მნიშვნელი და მეღვინეობაში გამოსაყენებლად ითვლება არა მაშინ, როდესაც რასაც რიგ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება (მაგალითად ისეთ დროს, როდესაც ალეკოპოლური დუღილი კლერტის მონანილეობით უნდა ჩატარდეს და სხვ.). კლერტი მომწიფებულად ითვლება მაშინ, როდესაც მტევნის ყუნწის ის ადგილი, რითაც იგი მიმაგრებულია ვაზის რქაზე, ნანილეობრივ ხმება.

## ყურძნის სიმწიფი და რიცხვები

ვაზის ჯიშები გურძნის სიმწიფის თვალსაზრისით რამდენიმე პერიოდია იყოფა. ესენია: გაფად საადრეო, საადრეო, საშუალო, საგვიანო და გაფად საგვიანო ჯიშები.

როდესაც იგი შაქრიანობის მაქსიმუმს მოაგროვებს, არამედ მაშინ, როდესაც ყურძნის ტკბილში შაქრიანობა და მუავიანობა გარკვეულწლად დაბალანსებულია. ცალკე საგანია „კლერტის მომწიფების“ საკითხიც, რასაც რიგ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება (მაგალითად ისეთ დროს, როდესაც ალეკოპოლური დუღილი კლერტის მონანილეობით უნდა ჩატარდეს და სხვ.). კლერტი მომწიფებულად ითვლება მაშინ, როდესაც მტევნის ყუნწის ის ადგილი, რითაც იგი მიმაგრებულია ვაზის რქაზე, ნანილეობრივ ხმება.

რთველისათვის სამზადისი, სხვა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეტაპის გვერდით არის ყურძნის სიმწიფის კონტროლიც, რომელიც შესაძლოა ერთ თვეს, ან უფრო მეტ ხანსაც კი გაგრძელდეს. საქმე ისაა, რომ ყურძნის სიმწიფე დამოკიდებულია ამინდზე და სწორედ იმისათვის, რომ ადამიანს მხედველობიდან არ გამოებაროს ყურძნის ტექნიკური სიმწიფის ფაზა, ანუ მუავიანობისა და შაქრიანობის სასურველი მდგომარეობა, იგი გარკვეული პერიოდულობით აკვირდება ამ პროცესს. ყურძენზე დაკვირვება თავდაპირველად შესაძლოა მოზრდილი ინტერვალებით ნარმოებდეს, მაგალითად 3-4 დღეში ერთხელ, თუმცა რაც უფრო უახლოვდება ყურძენი რთველის პერიოდს, გაკონტროლება უკვე ყოველ-დღიურად ხდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში დილა-საღამოსაც კი. ბოლო პერიოდში ჩვენშიც გამოჩნდა ყურძნის შაქრიანობის საზომი ხელსაწყო – „რეფრაქტომეტრი“ რომელიც მეტად მოხერხებულია და მორგებულია საველე პირობებს. ამავდროულად მას მინიმალური ცდომილება აქვს. ჩვენი ნინაპრები ყურძნის სიმწიფეს მისი გემოს გასინჯვითა და მარცვლის ხელით გასრესით, წებოვნების მიხედვით იგებდნენ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქართული ვაზის

ჯიში თავისი შინაარსით უნიკალურია და მათგან საკმაოდ განსხვავებული პროდუქტები მიიღება. განსხვავებულია ვაზის ჯიშების სიმწიფის პერიოდი და ქიმიური შემადგენლობაც. ამიტომ ყოველ ვაზის ჯიშს, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნების მცენარეს, განსხვავებული მიდგომა ესაჭიროება, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. არ შეიძლება თუნდაც ერთი და იმავე რეგიონის ორი ერთმანეთის მეტ-ნაკლებად მსგავსი ვაზის ჯიშის ღვინო, მაგალითად ქართლის ჯიშები – თავკვერი და ასურეთული შავი, სრულიად ერთნაირი მიდგომითა და ტექნილოგიით დაყენდეს.

ყურძნის სიმწიფეს დიდად განაპირობებს წლიური აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც. ეს მომენტი ყოველი რეგიონისა და ხშირად კონკრეტული ჯიშების შემთხვევაშიც განსხვავებულია. მაგალითად, რქანითელისათვის სავეგატაციო პერიოდში, ანუ კვირტის გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამმა საშუალოდ 3100-დან 3500°-მდე უნდა შეადგინოს. ცოლიკოურისათვის ეს მაჩვენებელია დაახლოებით 3800-3900° და სხვ. სიმწიფის პროცესი უკავშირდება იმ ადგილსაც, სადაც ვენახია გაშენებული. აქ იგულისხმება არა მარცვალში შაქრების მაქსიმალურად მოგროვება, არამედ ზოგადად, ყურძნის სარისხი. ისეთ ადგილებში, სადაც, განსაკუთრებული შემთხვევაში დილა-საღამოსაც კი. ბოლო პერიოდში ჩვენშიც გამოჩნდა ყურძნის შაქრიანობის საზომი ხელსაწყო – „რეფრაქტომეტრი“ რომელიც მეტად მოხერხებულია და მორგებულია საველე პირობებს. ამავდროულად მას მინიმალური ცდომილება აქვს. ჩვენი ნინაპრები ყურძნის სიმწიფეს მისი გემოს გასინჯვითა და მარცვლის ხელით გასრესით, წებოვნების მიხედვით იგებდნენ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქართული ვაზის

ვლდება, რაც ყოვლად მიუღებელია! ზედმეტი ყლორტების შეცლა, წვერების წაჭრა, ცის გახსნა, გაფურჩქვნა თუ ნამხრევების მოცილება ვაზის ის მწვანე ოპერაციებია, რომელთა ჩატარებასაც ვაზი თავად ითხოვს კიდეც, მაგრამ ზემოაღნიშნული ხერხით ყურძნის ხარისხი ნამდვილად არ მიიღწევა. ასერიგად, ხალხში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მაღალმარიანი ყურძნენი ავტომატურად ნიშნავს მაღალხარისხიანსაც – მცდარია! ზოგ შემთხვევაში პირიქითაც კია, რადგან რიგი ვაზის ჯიშების შემთხვევაში, მათგან მაღალშექრიანი ყურძნისგან დაყენებული ღვინო გამოდის ხისტი, ღუნე, მეტად ძარღვიანი და დაუბალანსებელი...


რაც შეეხება რთველისათვის სამზადისა და თავად რთველს, შეიძლება ითქვას, რომ ღვინის ხარისხი ამ პროცესებზე დიდადაა დამოკიდებული. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოში ჩვენი წინაპრები რთველისათვის ისევე ემზადებოდნენ, როგორც რომელიმე დიდი საეკლესიო დღესასწაულისათვის... აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს სპეციალური ლოკვა, რომელსაც მოძღვარი რთველის დაწყების წინ აღასრულებს და აკურთხებს ყურძნენსა და რთველს. ეს ლოკვა დღემდე აღესრულება საქართველოში.

ყურძნის დაკრეფა წარმოებს დილის საათებში, შუადღის სიცრის დადგომამდე. მერთვლეულმა ყველა ღონეუნდა იხმარონ იმისათვის, რომ არ მოხდეს მოკრეფილი ყურძნის ჩახურება. ეს ყოველივე შესაძლოა უარყოფითად აისახოს ღვინის ხარისხზე, რადგან ამ დროს დიდია ყურძნის ტკბილის ოქსიდაციისა და საერთოდ მასში არასასურველი მიკრობიოლოგიური პროცესების განვითარების რისკი.

იგულისხმება არა მხოლოდ მუშახელის ორგანიზება და ყურძნის დასაკრეფად დარიანი დღის შერჩევა, არამედ შესაბამისი სართვლო ჭურჭლის მოძიებაც. ხშირია შემთხვევა, როდესაც ყურძნენი იკრიფება არასათანადო ჭურჭელში, როგორიცაა, მაგალითად, „ცინკის ვედრები“. ამ ტიპის ჭურჭელი, რაგინდ ახალიც არ უნდა იყოს იგი, ყურძნებზეც და შემდგომში ღვინოზეც უარყოფითად მოქმედებს, რადგან ყურძნიცა და შემდგომში ღვინოც თუთით მდიდრდება, რაც ღვინის ხარისხს აუარესებს.


ასერიგად, რთველის დროს, იქნება ეს მოსაკრეფი თუ მიკრეფილი ყურძნის მოსაგროვებელი ჭურჭელი, გამორიცხული უნდა იყოს ყურძნის შეხება რკინასთან, თუნდაც მცირედი დროითაც კი (არ იგულისხმება უჟანგავი ღითონი). მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის ქარხნებში ხშირად გამოიყენებენ დანადგარებს, რომლებსაც ყურძნთან და ღვინოსთან შეხების ადგილები აქვთ, მაგალითად ბრინჯაოსი, თითბრისა და სხვ. ასეთ შემთხვევაში პროდუქციის რკინით გამდიდრების რისკი დაბალია. რთველისათვის, ალბათ საუკეთესო ჭურჭლად უნდა ჩაითვალოს მოწნული კალათები და გოდრები. ამგვარ ჭურჭელში ყურძნენი არ იჭყლიტება, „სუნთქავს“ და ამრიგად გამორიცხულია ყურძნის ჩახურება. სხვადასხვა ზომის მოწნული ჭურჭლი ასევე იდეალურია ყურძნის ტრანსპორტირებისთვისაც. დიდი ზომის მოწნულ ჭურჭელს, რომელიც მოგრძო ფორმისაა და ყურძნის გადასატანად ურემზე იდება, მაგალითად ქიზიყში „სულადის გოდორი“, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ამ ტიპის ჭურჭელი ამჟამადაც გამოიყენება, „ძარი“ ეწოდება. ასევე მეტად მნიშვნელოვანია დაკრეფილი ყურძნის


## ასალი ცივნები



თბილისი. 2015 წ.

წიგნი – „მეღვინეობა ოჯახურ პირობებში“ გამოიცა 2015 წელს. ავტორი – გიორგი ბარისაშვილი. მასში შესულია ოჯახური მეღვინეობის მეტ-ნაკლებად აქტიურური საკითხები და თავები, როგორიცაა, მაგალითად: პიგიენა; ყურძნის სიმწიფე და რთველი; ყურძნის გადამუშავება, გადასამუშავებელი დანადგარები და ინვენტარი; ალკოჰოლური დუღილი; ვაშლრძემჟავური, ანუ მალოლაქტიკური დუღილი; საღვინე ჭურჭელი და მისი მოვლა; ღვინის გადაღება; ჭურჭლის შევსება; ღვინის შენახვა და დამველება; ღვინის ჩამოსხმა ბოთლებში; ღვინის ზოგიერთი დაავადება, ნაკლოვანება და მათი გამოსწორება; მეღვინეობის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი. წიგნი მაღალ გამოჩინდება დედაქალაქის მაღაზიებში.





მარნამდე დროულად გადატანა და ყურძნის შეძლებისდაგვარად სწრაფად გადამუშავება.

ბოლო პერიოდში ჩვენში შემოვიდა პლასტმასის ყუთებში ყურძნის დაკრეფის პრაქტიკა, რაც მისასალმებელია, რადგან ამგვარი ყუთები მოხერხებულია, როგორც ყურძნის მოსაკრეფად, ისე მისი ტრანსპორტირების დროსაც, თუნდაც ეს იყოს შორი მანძილი (თუმცა მოკრეფილი ყურძენი შეძლების-დაგვარად მალევე უნდა მივიდეს მისი გადამუშავების ადგილას). ხსენებული ყუთების კონსტრუქციიდან გამომდინარე, მათში ყურძენი არ იჭყლიოტება მაშინაც კი, როდესაც ყურძნით სავსე ყუთები ერთმანეთზე აწყვია.

ყურძნის მოკრეფა წვიმიან ამინდში, ან ახალ ნაწიმარზე დაუშვებელია. ასეთ დროს დიდია რისკი იმისა, რომ ღვინო დაავადდეს, ამიტომ რთველი აუცილებლად მშრალ ამინდში უნდა ჩატარდეს!

მართალია, მოკრეფილი ყურძენი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გადამუშავდეს, მაგრამ ჩვენში არსე-

ბობდა ერთი ასეთი განსხვავებული წესიც, კერძოდ, გურიაში ალადასატურის ჯიშის ყურძნის მოკრეფისას ყურძენს გარევეული დროით, რამდენიმე დღე მონწულლასტებზე დააწყობდნენ ისეთ სათავსში, სადაც შესაძლებელი იყო გამჭოლი ქარის, ანუ „ორპირის“ დაყენება. ასეთ დროს ყურძნიდან შემოდგომის წვიმების შედეგად ჭარბად დაგროვილი წყალი ორთქლდებოდა, შედეგად კი მიიღებოდა ხარისხიანი ღვინო. ამგვარ მეთოდს დღემდე მიმართავენ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში. ყურძნის ორ-სამდლიან დაყოვნებას მის დაჭყლეტამდე რაჭაშიც ვევდებით, მაგრამ რაჭაში ყურძნის დახანება ხდება არა მონწულლასტებზე, არამედ საწნახელში. ამგვარ წესი რაჭაში, თუმცა კი იშვიათად, მაგრამ დღემდე შემორჩენილი. საინტერესოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არა მხოლოდ რთველის დროს, არამედ ვაზის გასხვლის დრო-საცაა გასათვალისწინებელი. ესაა რთველისა თუ ვაზის გასხვლის დროს მთვარის შესაბამისი ფაზის შერჩევა.

ახალ მთვარეზე არც ვაზის გასხვლაა რეკომენდებული და არც რთველი, ასევე ლვინის გადაღებაც. ეს ყოველი-ვე მეტად კარგად ჰქონდათ გათვითონიბიერებული ჩვენს წინაპრებს, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ მთვარის ფაზების შერჩევას, არა მხოლოდ ყურძნის კრეფისა და გასხვლის შემთხვევაში. მთვარის შესაბამისი ფაზის შერჩევას ჩვენი წინაპრები ითვალისწინებდნენ, მაგალითად სასაწნახლე ხის მოჭრის დროს. ითვლება, რომ, თუ სასაწნახლე ხე მთვარის არასწორ ფაზაშია მოჭრილი ის მალევე დაჭიანდება. რთველსა და საწნახლეს ერთი ნუთით თავი რომ დავანებოთ, დასავლეთ საქართველოს სოფლებში დიასახლისები მთვარის შესაბამისი ფაზის გარეშე ლობიოსაც კი არ თესავენ დღემდე...

შეჯამებისათვის ვიტყვით, რომ რთველის ჩასატარებლად გასათვალისწინებელია არაერთი ფაქტორი, როგორიცაა, მაგალითად, სართველო ჭურჭლის შერჩევა, შესაბამისი ამინდი, მუშახელის ორგანიზება, მარნის სიმორე და ყურძნის ტრანსპორტირების საკითხი, ყურძნის სიმწიფე და ბოლოს, როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისი მთვარის ფაზის თანხვედრა. წინამდებარე მოკლე წერილს დიდი ილიასეული სიტყვებით დავასრულებთ: „ყურძნის დაკრეფის დღიდან თავდება მოვალეობა ვენახის მეტებლისა და ინყება საქმე და მოვალეობა ღვინის მეტებით.“

**ვიზუალური პრისტავილი,  
მცხეთა. 2015 წ.**



## ფიტოსანიტარული ლაპრატორიული დიაგნოსტიკა - პირველი ნაბიჯი წარმატებისკენ

ევროპავზირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება  
სახელმწიფო ახალი სტანდარტი დახმარება, რაც იმას იღებავს,  
რომ საქვემდებრი პროდუქტების უსაფრთხოების დაცვა, არა მხოლოდ  
სასმარტო, არამარტინი და მდგრადი განვითარებულ  
პროდუქტზეც სავალდებულო გახდა.

საქართველოს მიერ „ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული

ვალდებულებების თანახმად, შეიქმნა საერთაშორისო დოკუმენტის ლაბორატორია, რომელმაც 2014 წლის მარტში საერთაშორისო აკრედიტაცია

მიიღო და ISO 17 025 სტანდარტი დანერგა, რამაც მას საშუალება მისცა, აქ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგები საერთაშორისო მასტებით ყოფილიყო აღიარებული. საერთაშორისო საკრედიტაციო ორგანოს (ANAB) მიერ მინიჭებული აკრედიტაცია ლაბორატორიას უფლებას აძლევს ბიზნეს-პრერატორებსა და სხვა

დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს საზღვარგარეთ აღიარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგები. ლაბორატორიაში დიაგნოსტიკა მსოფლიო სტანდარტების დონეზე ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ მიღებული ანალიზი აბსოლუტურად სანდო, სარწმუნოა და ზუსტად ისეთივეა, როგორიც საზღვარგარეთის ლაბორატორიაში მიიღება, რომელიც ანალოგიური ISO სტანდარტით მუშაობს.

ლაბორატორიაში ასევე დანერგილია ISO 9001:2008 მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა: 1) საზოგადოებრივი ჯანდაცვა (ადამიანის ჯანმრთელობა სახელმწიფოს უპირატესი ვალდებულება); 2) სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა ჯაჭვური პრინციპით (ეფექტური და მოქნილი ურთიერთქმედების და თანამშრომლობის დანერგვა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან.); 3) კომერციული ასპექტი (მაღალკვალიფიციური დიაგნოსტიკური მომსახურება, რომელიც უშუალოდ არის მიმართული ფერმერებისა და მოსახლეობის ინტერესების გასათვალისწინებლად. ლაბორატორიული პოტენციალის გამოყენება ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის ხელს უწყობს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობების რეალიზაციას, ანუ ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის დაშვებას).

DCFTA-ის შეთანხმების ამოქმედების წინაპირობას ასევე წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი სანიტარული და ფიტოსანიტარული რეგულაციების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რაც მოკლე დროში შესრულდა, აშენდა და თანამედროვე მოწყობილობებით აღიჭურვა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის ახალი შენობა. ლაბორატორიამ უკვე დაამუშვა და ნერგავს პერსპექტიული კულტურულისა და მათთან ასოცირებული მავნე ორგანიზმებისათვის დიაგნოსტიკურ მეთოდებს. ასევე, ყურადღება ექცევა იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და მათთან ასოცირებულ მავნე

ორგანიზმებს, რომლებიც იმპორტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენენ. 2014 წლის სექტემბერში ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) საბჭომ საქართველო ორგანიზაციის 51-ე წევრად მიიღო, რაც ლაბორატორიის მკვლევარებს შესაძლებლობას მისცემს ყველა იმ სიკეთით ისარგებლონ, რასაც ამ ორგანიზაციის წევრობა გულისხმობს. ასე მაგალითად:

- 1) ფიტოსანიტარული მონიტორინგი და ზედამხედველობა;
- 2) ექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკაციისა და იმპორტის რეგულაციის სისტემების ეფექტური მუშაობა; 3) მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ტერიტორიების დადგენა; 4) ლაბორატორია ხდება უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ფიტოსანიტარული რისკის ანალიზის და სალიკვიდაციო პროგრამების განხორციელებაში, ვინაიდნ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში სრულად არის შესაძლებელი ნებისმიერი ფიტოსაკარანტინო თუ სხვა (არასაკარანტინო) საშიში მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტანდარულ ზრდის ხელშესაწყობად ქვეყანაში არსებული ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლას (მონიტორინგი). ფიტოსანიტარული დაცვა ასევე სურსათის უვნებლობის უნიშვნელოვანესი კომპონენტია, რაც

მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვასა და საკარანტინო ზომებს მოიცავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2020 წლების სტრატეგიაში, სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარება გააზრებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით, სოლიდური ფინანსური რესურსების მობილიზაცია მოხდა; კერძოდ, ევროკავშირის (CIB პროექტი) და სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების დახმარებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში გაძლიერდა მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულება. სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსით აშენდა ახალი ფიტოსანიტარული ლაბორატორია, ხოლო ევროკავშირის ფინანსური დახმარებით შესაძლებელი გახდა თანამედროვე საერთაშორისო დონის აპარატურითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით ლაბორატორიის აღჭურვა.

ამრიგად, ევროკავშირთან ასოცირების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამ ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი პროექტის უმოკლეს ვადებში დაგეგმვა და განხორციელება საქართველოს მიერ „ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების“ ვალდებულებების დროული შესრულების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

**სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია**





# კარტოფილის კიბო

**კარტოფილი (SOLARUM TUBEROSUM) ქალღერძენის გროვა**  
**(SOLACEARUM) ოპახის როლების გროვაზე ან მენერაზე.**

კარტოფილის სამშობლო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც საკვები კულტურა დაახლოებით 14 ათასი წლის წინათ მოჰყავდა. ევროპაში ის 80-16 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიტანეს.

საქართველოს მოსახლეობამ კარტოფილის მოყვანა მე-19 საუკუნიდან დაიწყო. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები და კარტოფილის გარემოსთან შემგუებლობის კარგი უნარი საადრეო და საგვიანო პროდუქციის მიღების საშუალებას იძლევა. კარტოფილის ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის დონიდან 1000-2500 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მას თესავენ უმთავრესად ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხულოს, შუახევის რიონებში. მოჰყავთ მთაში (წინონმინდის რაიონი, სვანეთი, რაჭა, ჩოხატაურის რაიონი – ზოტი, ბახმარო).

კარტოფილის მრავალმხრივი გამოყენებითა და ძვირფასი საკვები თვისებებით იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურაა.

გამოირჩევა უნივერსალური მოხმარებით, გამოიყენება სანარმოო, ტექნიკური და საკვები მიზნებისათვის.

კარტოფილი საკმაოდ მგრძნობიარე მცენარეა, ძლიერად ავადდება ფიტოპათოგენებით, რაც მნიშვნელოვანი დონით განპირობებულია მისი ბიოლოგიით. ნახშირწყლებითა და წყლით მდიდარი ბოლქვები და ლეროები სხვადასხვა დაავადებების განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ამასთან, კულტურა ძალიან მგრძნობიარეა ვირუსული, ბაქტერიული და სოკვანი დაავადებებისადმი, რაც მის პროდუქტებიულობა აქვეითებს. ფიტოპათოგენებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი მთელ მსოფლიოში ძალიან დიდია. გარდა ამისა დაავადებებისადმი მაღალმა მგრძნობელობამ კარტოფილის

პოპულარული ჯიშების გადაგვარება-გაქრობა გამოიწვია.

კარტოფილის ცველაზე სერიოზულ დაავადებად კარტოფილის კიბო ითვლება, რომლის გამომწვევია სოკო *Synchytrium endobioticum*


*Pers, Chytridiomycetes* რიგიდან და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განსაკუთრებით საშიშ საკარანტინო მავნე ორგანიზმად ითვლება. პირველად ის 1896 წელს უნგრეთში აღმოჩინეს და ამჟამად გავრცელებულია ევროპის, აზიის აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და ოკეანეთში. რუსეთის ფედერაციაში გავრცელებულია ლოკალურად 26 რეგიონში. საქართველოში დაფიქსირებულია აჭარაში, მაღალმთიან ხულოს მუნიციპალიტეტში. კულტურული მცენარეებიდან სოკოს მასპინძელი მხოლოდ კარტოფილია.

ავადდება მცენარის ყველა ორგანო – ბოლქვები, ფესვის ყელი, დაავადების ძლიერი განვითარებისას ლერო, ფოთლები და ყვავილებიც კი. სოკო აავადებს მხოლოდ ახალგაზრდა, მოზარდ ქსოვილებს. პირველ რიგში ავადდება



ბოლქვის თვლები და ახალგაზრდა აღმონაცენი. არ ავადება მხოლოდ ფესვები.

დაავადება ვლინდება ქსოვილების წარმოქმნით, რაც გამოიხატება კორძისებრი წარმონაქმნების განვითარებით.



ისინი მოგვაგონებს ღრუბელს ან ახალგაზრდა ყვავილოვან კომბოსტოს. კორძების წარმოქმნა იწყება ბოლქვების თვლებთან. დასაწყისში ისინი პატარებია, სიმინდის მარცვლის სოფენა, შემდეგ კი თანდათან იზრდება და ხშირად იმ ზომამდე აღწევს, რომ კორძი მკვებავ ბოლქვზე უფრო დიდია. (კორძების სიდიდე დამოკიდებულია მცენარით. მიმღეობაზე დაავადების მიმართ. კიბოსადმი მიმღებიან ჯიშებს ისინი უფრო დიდი ზომის უვითარდება, ხოლო გამძლეს ნაკლები). იგი ჯერ თეთრია, რაც ხანი გადის კორძი ფერს იცვლის და ბოლოს თითქმის მთლად შავდება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბოლქვების ქსოვილების დაშლა დაიწყო, კორძი ლპება და ბოლქვი მთლად ფუჭდება, არ ინახება და გამოსაყენებლად უვარებისა. კიბოს მიერ გამოწვეულმა მოსავლის დანაკარგებმა შეიძლება 40-60% შეადგინოს.



კარტოფილის კიბოს გამოწვევი *Synchytrium endobioticum* მიეკუთვნება უჯრედშიდა პარაზიტს, რომელიც არ ივითარებს მიცელიუმს.

მისი ბიოლოგია საკმაოდ რთულია. სოკოს განვითარების ციკლში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზამთრის ანუ მსვენებარე სპორებს, რომლის საშუალებითაც სოკო ინახება და ვრცელდება ბუნებაში.



გაზაფხულზე, 15-17°C ტემპერატურის დადგომისას, სამშრიანი მომრგვალო ფორმის 30-დან 80 მკმ-მდე სიდიდის ოქროსფერი ან მოყვითალო-ყავისფერი ზომისპორანგიუმებში 200-300 მოძრავი ერთშოლტიანი ზომისპორები ვითარდება. ზომისპორა მცენარის მიმღებიან ქსოვილებზე მოხვედრისას არღვევს ეპიფერმისის კედელს და მისი პლაზმა მასპინძლის უჯრედში იღვრება. აქ პარაზიტი ვითარდება, ქმნის საკვებ ნივთიერებებს და მისი გავლენით ეპიფერმისი ქვეშ მოთავსებული უჯრედში იწყებენ ძლიერ გამრავლებას, უჯრედი იზრდება და იძერება. მასში მოთავსებული სოკო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ 5-7 წლიან ზომისპორანგიუმებად იშლება, რომლებიც ასევე შეიცავს 300 ზომისპორას. ყალიბდება ზაფხულის ზომისპორანგიები, მოძრაობები ნიადაგის ტენთან ერთად და კვლავ წარმოქმნიან ზაფხულის სპორანგიებს. ზაფხულის სპორანგიები მონაცრისფრო ფერისაა, აქვს თხელი ერთშრიანი გარსი. სოკოს განვითარების ციკლი შეადგენს 12-14 დღეს და ხელსაყრელ გარემო პირობებში მიმღინარეობს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

შემოღომაზე სოკოს ეწყება სქესობრივი სტადია. ზაფხულის სპორანგიუმებიდან განვითარებული ორი ზომისპორის კოპულირებით მიიღება ორშოლტიანი ზიგოტა. მცენარის ქსოვილის დაავადების შემდეგ ყალიბდება ზამთრის სპორანგიუმი.

მსვენებარე სპორების განვითარება დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე: ტენიანობა, ტემპერატურასა და მუავიანობაზე. ცალკეული სპორები ვითარდება, როცა ნიადაგის ტენიანობა 30-დან 95%-მდეა. ოპტიმალურ ტენიანობად ითვლება 60-80%. სოკოს განვითარებისათვის ტემპერატურის საზღვრები 5 და 24°C (ოპტიმალური 15-18). სოკო განსაკუთრებით

რეაგირებს ნიადაგის მუავიანობაზე. მაღალი მუავიანობისას ზამთრის სპორები არ ვითარდება, მაგრამ არ კარგავენ ცხოველმოქმედებას. ამით აიხსნება, რომ ნიადაგში 60-70 სმ სიღრმეზე, სადაც მუავიანობა ნაკლებია და ნიადაგის ტენიანობაც შემცირებულია, დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას. პაზიტი ვითარდება ნიადაგის მუავიანობის pH 3,9-8,5 ფარგლებში.

*S. endobioticum* მოზამთრებს ზომისპორანგიუმი გარემო პირობებში ნიადაგში ინარჩუნებს



ცხოველმოქმედებას და დაავადების გამოწვევა დაავადების კერის აღმოჩენიდან დიდი ხნის, 20-30 წლის განმავლობაში შეუძლია. ეს გარემოება აღნიშნული დაავადებისაგან კარტოფილის დაცვას მნიშვნელოვნად ართულებს.

## ნიმუშები

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, მაგნე ორგანიზების დაგნოსტიკის დეპარტამენტი, ფიზიკათოლოგის ლაბორატორიის უფროსი

# ფერმერულ გაურნეობები სუბტროპიკულ კულტურათა გათანაცყობის პრიცენტი



უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო სტიქიურად განადგურდა სუბტროპიკული მემკენარეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მეჩაიერა. ერთ დროს ქვეყანაში არსებული 65 ათასი ჰექტარი მაღალმოსავლიანი ჩაის ნარგაობიდან სადაცისოდ ვარაუდობენ 5-6 ათასი ჰექტარი ფოთოლსაკრეფი პლანტაციების არსებობას. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია - ახლო წარსულში ჩაის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყანა გახდა იმპორტიორი, რომელიც რამდენიმე მილიონ დოლარს ახმარს ჩაის პროდუქციაზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ ფონზე საქართველოში ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება, ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქციაზე.

არასტაბილურია მეციტრუსეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსახლიანობაც და მათი პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები, დაცუა შესასყიდი ფასები ციტრუსოვანთა ნაყოფებზე, გაძხელებულია კრეფის, ტრანსპორტირების და რეალიზაციის საკითხები. სახელმწიფო ჯერჯერობით ფერმერებს ვერ სთავაზობს შეკვეთებს ამა თუ იმ კულტურათა პროდუქციაზე. ამის მოლოდინში ბევრმა ფერმერმა, გლეხმა თუ ფიზიურმა პირმა ყოველგვარი რეკომენდაციების გარეშე გამოუტანა განაჩენი პრივატიზებულ ნაკვეთებს.

დღეისათვის დასავლეთი საქართველოს ზონაში სუბტროპიკულ კულტურათა განაშენიანებამ სტიპიური ხასიათი მიღები, რასაც ყოველთვის არ მოაქვთ დაღვენი შემდეგი შემთხვევაში მიმდინარეობის მიზანით. აუცილებელია მოსახლეობას მივაწოდოთ ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტური, მეცნიერული და გარეშე, რის შედეგად ნარგაობა სამინდის, ისე სხვა კულტურების გასაშენებლად სპეციალური ქიმიური მელიორაციისა და სრულყოფილი განოყიერების გარეშე, რაც დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

გასული 10-15 წლის განმავლობაში თხილზე მაღალი შესასყიდი ფასების გამო მოსახლეობამ მასიურად დაინტენცირდა თხილის გაშენება, თუმცა იყო პერიოდები (2001-2002წ.), როდესაც თხილის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად დაეცა. 2014 წელს თურქეთის რესპუბლიკაში თხილის დაბალი მოსავლიანობის გამო ფასებმა ისევ აინია. ამდენად, დღეისათვის თხილის

კულტურას საქართველოში ეკონომიკურ სიდურეზე მყოფი მოსახლეობა სტიქიურად აშენებს ნიადაგის ყოველგვარი ნინასწარი მომზადებისა და მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე, რის შედეგად ნარგაობა 4-5 წლის შემდეგ კნინდება და უნაყოფო ხდება. თხილის პლანტაციების სტიქიურად გაშენებამ შესაძლებელია გარკვეულ უკიდურესობამდეც მიგვიყვანოს. კლიმატური რისკებისა და მავნებელ-დაავადებათა მასიური გავრცელების შემთხვევებში მოსალოდნელია პლანტაციების მასიური განადგურება.

ვაანალიზებთ რა ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას დღეისათვის აუცილებელია მოსახლეობას მივაწოდოთ ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები

**ცხრილი-1**  
**ფერმერულ მეურნეობებში სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ დაკვებული ფართობების სანიმუშო სქემა**  
(1 ჰა-ზე გადაანგარიშებით)

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	მეციტრუსეობისა და მეჩაიერების I ზონა	მეჩაიერებისა და მეციტრუსეობის II ზონა		კოლხეთის დაბლობი, იმრეოთის რაიონები III ზონა		
		%	კვ.მ	%	კვ.მ	
ჩაი	10	1000	15	1500	10	1000
ციტრუსი	50	5000	10	1000	1	100
თხილი	10	1000	35	3500	25	2500
აქტინიდია	5	500	7	700	2	200
ფეიონა	3	300	2	200	1	100
ბაზბური	2	200	2	200	1	100
სუბტროპიკული ხურმა	2	200	3	300	5	500
დაფუნა	1	100	1	100	1	100
სხვა სუბტრ. კულტურები	2	200	3	300	-	-
ვაზი	2	200	2	200	10	1000
მარცვლოვანი კულტურები	5	500	10	1000	30	3000
კონტინენტური ხეხილი	2	200	4	400	4	400
ბოსტანბალჩეული	6	600	6	600	10	1000
სულ	100	10000	100	10000	100	10000

გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანანყობაზე, მათი სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

ვეყრდნობით რა აგრარიკოს მეცნიერთა მრავალნიან გამოკვლევებს ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ, ასევე ვითვალისწინებთ რა სუბტროპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატურ მაჩვენებლებს, გლეხურ ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ მათზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაშენების სანიმუშო პროგნოზულ სქემას. (ცხ.1)

ჩვენს მიერ მოტანილ სქემაში სამი ზონა პირობითადაა წარმოდგენილი. მეციტრუსეობის ზონად მიგვაჩნია აჭარა-გურიისა და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო რაიონები, სადაც ციტრუსოვანთა კულტივირება ღია გრუნტის პირობებში გარანტირებულია კრიტიკული შემთხვევების გარდა. მეორე ზონაში მოიაზრება იგივე რაიონების შავი ზღვის სანაპიროდან დაცილებული რაიონები, სადაც ძირითადად წითელმინა, ენერმინა ნიადაგებია ნარმოდგენილი და ისტორულად მეჩაიერების ზონად ითვლება. მესამე ზონად წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობისა და იმერეთის რაიონები, რომლებიც ალუვიური, ენერი, ენერმინა და ყვითელმინა ნიადაგებითაა წარმოდგენილი, გორაკ ბორცვიან ზონებში შენიშვნება კარბონატული ნიადაგების არსებობაც.

ჩვენს მიერ შედგენილი პროგნოზული სქემა არ წარმოადგენს დოგმას ყველა ტიპისა და ყველა რეგიონის ფერმერული მეურნეობებისათვის. იგი შესაძლებელია იცვლებოდეს არა მარტო ნიადაგურ-კლიმატური მაჩვენებლების, არამედ კულტურათა პროდუქტიაზე საბაზრო და სამომხმარებლო მოთხოვნილებების მიხედვითაც. ასევე მთა-გორაკიანი სუბტროპიკული ზონის მოსახლეობისათვის-იქ, სადაც შეუძლებელია მარცვლეული და ბოსტან-ბალჩეული კულტურების წარმოება, მის ხარჯზე შესაძლებელია გაფართოვდეს იმ ზონისათვის მომგებიანი სხვა სუბტროპიკული კულტურების ფართობი და ა.შ.

სუბტროპიკულ კულტურათა განაშენის პროცესში აუცილებელია ფერმერმა, გლეხმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორების მნიშ-

ვნელობებს, რომელიც განსაზღვრავენ მცენარეთა სასიცოცხლო ფუნქციებს. ასეთ ფაქტორს წარმოადგენს ყინვაგამძლეობა-ანუ ის აბსოლუტური მინიმუმი, რომელიც დამღუპველია ამათუ იმ კულტურისათვის.

ამრიგად, სუბტროპიკულ კულტურებს შორის ყველაზე დაბალი ყინვაგამძლეობით ციტრუსეობის შავი ზღვის სანაპირო რაიონები, სადაც ციტრუსოვანთა კულტივირება ღია გრუნტის პირობებში გარანტირებულია კრიტიკული შემთხვევების გარდა. მეორე ზონაში მოიაზრება იგივე რაიონების შავი ზღვის სანაპიროდან დაცილებული რაიონები, სადაც ძირითადად წითელმინა, ენერმინა ნიადაგებია ნარმოდგენილი და ისტორულად მეჩაიერების ზონად ითვლება. მესამე ზონად წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობისა და იმერეთის რაიონები, რომლებიც ალუვიური, ენერი, ენერმინა და ყვითელმინა ნიადაგებითაა წარმოდგენილი, გორაკ ბორცვიან ზონებში შენიშვნება კარბონატული ნიადაგების არსებობაც.

რაც შეეხება ჩაის კულტურას, მიუხედავად მაღალი ყინვაგამძლეობისა, მისი გავრცელების მალიმიტირებელ ფაქტორს წიადაგის არეს რეაქციის მაჩვენებელი წარმოადგენს. ჩაის კულტურისათვის გამოსადევია მხოლოდ მუავე რეაქციის მქონე წითელმინა, გაენრებული წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგები. რაც შეეხება სხვა სუბტროპიკულ კულტურებს, ისინი წიადაგის არეს რეაქციის მაჩვენებლის მიმართ მკაცრი მოთხოვნებით არ ხასიათდებიან.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფერმერულ მეურნეობათა სავარგულები სუბტროპიკულ ზონაში მონოკულტურით იქნას დაკავებული. ჩვენს პროგნოზულ სქემაში პრიორიტეტული ადგილები ჩაის, ციტრუსებს და თხილს უკავიათ. ეს იმითაცა განპირობებული, რომ ტრადიციულად აღნიშნულ

## ცხრილი-2 ძირითად სუბტროპიკულ კულტურათა ყინვაგამძლეობის მაჩვენებლები

კულტურების დასახელება	დაზიანების კრიტიკული ტემპერატურა		
	სუსტი	ძლიერი	მცენარის დაღუპვა
1 ლიმონი	-4-5	-6-7	-8-9
2 ფორთოხალი	-5-7	-8	-10
3 მანდარინი	-7-8	-10	-12
4 ჩაი	-9-10	-15	-18-20
5 აქტინიდია	-9-10	-13	-15-16
6 თხილი	-18	-22	-25
7 ფეხვა	-10	-15	-18
8 დაცვა	-9-10	-14	-18
9 სუბტროპიკული ხურმა	-15	-20	-25
10 ბამბუკი	-13	-18	-24
11 ვაზი	-18	-22	-25
12 კონტინენტური ხეხილი	-18	-24	-25-27

კულტურათა პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება საბაზრო მოთხოვნილება, რაც ფერმერთა ვალუტით უზრუნველყოფის ძირითადი სამუალება გახდება. ასევე მინშვერლოვანი იქნება აქტინიდიის, ფეიონას, სუბტროპიკული ხურმის, ლურჯი მოცვის, დაფნის, ბამბუკის, პეკანის და სხვა კულტურების პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვლეულს, ბოსტან-ბალჩეულს, ვაზის, კონტინენტურ ხეხილოვან კულტურებს, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის განსავითარებლად.

ამრიგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილ კულტურათა შეთანანყობისა და განაშენის მიღების მოდელი ფერმერს, გლეხს საშუალებას აძლევს მთელი წლის განმავლებაში ანარმონოს სამუშაოები, არ მოაცილოს მუშახელი და უზრუნველყოფის მათი სოციალურ-ეკონომი-





კური პირობების სტაბილური მდგო-  
მარეობა.

კულტურათა ფართო ასორტიმენ-  
ტით წარმოება ასევე საშუალებას იძ-  
ლევა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუ-  
მამდე შევამციროთ ზოგიერთ წლებში  
მკაცრი კლიმატური პირობებით (ზამ-  
თრის ყინვები, საგაზაფხულო წაყინ-  
ვები, სეტყვა, გვალვა და სხვა) გამოწ-  
ვეული ზარალი. ასევე მხედველობა-  
შია მისალები მავნებელ-დაავადებათა  
მასიური გავრცელების პირობებში  
(მაგ. ამერიკული პეპელა თხილზე) ზა-  
რალის მინიმუმამდე დაყვანა, რასაც,  
სამწუხაროდ, ვერ მივალნევთ მონო-  
კულტურის შემთხვევაში.

კულტურათა ფართო ასორტიმენ-  
ტით წარმოება მნიშვნელოვანია ეკო-  
ლოგიური თვალსაზრისითაც. გასათ-  
ვალის მნიშვნელობით ის გარემოება, რომ  
ფერმერულ მეურნეობათა უმეტესო-  
ბა გორაკ-ბორცვიან ზონებშია გან-  
ლაგებული, სადაც ბუნებრივია შეგვ-  
ხვდება ფერდობები, ვაკე ადგილები,  
ხევები. კულტურათა განაშენიანების

დროს მაქსიმალურად უნდა გავითვა-  
ლისწინოთ ცალკეულ მცენარეთა ბი-  
ოეკოლოგიური მოთხოვნილება ად-  
გილმდებარეობის ექსპოზიციისა და  
მიკროკლიმატის მიმართ. ასე მაგა-  
ლითად, ჩაი, ციტრუსები, თხილი შე-  
საძლებელია გავაშენოთ ფერდობ ად-  
გილებზე, რითაც უზრუნველვყოფა  
ეროზიული მოვლენების შემცირებას  
ან თავიდან აცილებას. აქტინიდია,  
ვაზი, ფეიჰოა, ბოსტან-ბალჩეული,  
მარცვლეული უმჯობესია ვაკე ან  
ოდნავ დაქანებულ ადგილებზე გავა-  
შენოთ. ბამბუკი, დაფნა, პეკნი, წყავი  
და სხვა კულტურები შესაძლებელია  
გავაშენოთ ჩაღრმავებულ ხევისპირა  
ადგილებში. ხეხილოვანი კულტურე-  
ბი, ცალკეული ნარგაობის სახით, უმ-  
ჯობესია გაშენდეს ძირითადი კულ-  
ტურების მიჯნაზე, ცენტრალური ან  
საბილიკო გზების გასწვრივ, რომელ-  
ბიც ძირითად ფუნქციასთან ერთად  
ქარსაფარისა და საჩრდილობელი  
მცენარეების დანიშნულებასაც შეა-  
რულებენ.

### ცხრილი-3

**ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შედარებითი ეკონომიკური  
ეფექტიანობა სუბტროპიკულ ზონაში  
( 1 ჰა-ზე გაანგარიშებით )**

№	ეკონომიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	თხილი	ციფრუ- სი	ჩაი	აქტინი- დია	სიმნდი
1	მოსავლიანობა	ტ/ჰა	2.5	20	8	10	8
2	კგ.პროდუქციის ფასი	ლარი	3.0	0.41	0.75	0.74	0.3
3	პროდუქციის დირებულება	ლარი	7500	8250	5600	7400	2400
4	დანახარჯები სულ	ლარი	3712	6995	4784	5040	1819
5	მათ შორის მასალებზე დანახარჯები	ლარი	1963	2725	1582	1862	1174
6	შრომითი დანახარჯები	ლარი	1349	2720	2502	2278	545
7	დამატებული ღირებულება	ლარი	5537	5525	4018	5538	1226
8	მარტინალური მოგება	ლარი	4188	2805	1516	3260	581
9	მმინდა მოგება	ლარი	3788	1255	816	2360	581
10	შრომის ნაყოფიერება	ლარი ეაფ/დღე	85.2	44.2	44.2	48.9	51.6
11	რენტაბელობის დონე	%	102	17.9	17.1	46.8	31.9

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სქე-  
მიდან გამომდინარე, ჩაისა და სხვა  
სუბტროპიკული კულტურების მოვ-  
ლა-მოყვანის პროგრესული ტექნო-  
ლოგიების განხორციელების შემ-  
თვევაში წინასწარი პროგნოზული  
ანალიზით შესაძლებელია მიღებუ-  
ლი იქნეს მაღალი ეკონომიკური მაჩ-  
ვენებლები. იმ შემთხვევაში, თუ კი  
ფერმერულ მეურნეობებში კომპე-  
რატივების დონეზე ორგანიზებული  
იქნება წარმოებული ნედლეულის გა-  
დამუშავება და მომხმარებელზე მზა  
პროდუქციის მიწოდება, მაშინ ფუ-  
ლადი შემოსავლები კიდევ უფრო გა-  
იზრდება. (ცხრილი-3)

გარდა ეკონომიკური დანიშნულე-  
ბისა, სუბტროპიკული კულტურე-  
ბის ერთობლიობა ქმნის რა ჩვენთ-  
ვის სასურველ ეკოლოგიურ კონგ-  
ლომერატს, გარკვეულ ეგზოტიკურ  
სიამოვნებასაც ანიჭებს ადამიანს,  
უცხოელ ტურისტებს, ფერმერებს,  
მეცნიერებს. სპეციალისტებს ეყო-  
ფათ სიბრძნე და გამოცდილება, რომ  
არ დაუშვან ამ კულტურათა თანაარ-  
სებობის ასწლიანი ისტორიის უგულ-  
ვებელყოფა რომელიმე ერთი ან ორი  
კულტურის სარჯაზე.

უნდა ვალიაროთ, რომ დღევანდელი  
გლეხი/ფერმერი ნაკლებად არის გათ-  
ვითცნობიერებული ბიზნესისა და სა-  
ბაზრო ეკონომიკის საკითხებში. მათ  
ვერ გადაუდგამთ გაბედული ნაბიჯი  
თავიანთი მეურნეობების რეორგანი-  
ზაციაზე. დღის წესრიგში დგას მათი  
მომზადება-გადამზადების აუცი-  
ლებლობა თანამედროვე მოთხოვნე-  
ბის დონეზე-სათანადო ლიცენზიის  
ან სერთიფიკატის მინიჭების უფლე-  
ბებითაც კი.

აღნიშნულ ფუნქციას სსიპ სოფლის  
მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრის ანასეულის ლაბორატო-  
რია და აგრარული უნივერსიტეტის  
ჩაის, სუბტროპიკული კულტურე-  
ბის და ჩაის მრეწველობის ინსტი-  
ტუტი შეასრულებს. მნიშვნელოვა-  
ნი სამეცნიერო პოტენციალი, ლა-  
ბორატორიული აღჭურვილობა და  
ტერიტორიულ-ადმინისტრაციული  
მდებარეობა (ოზურგეთი) აღნიშნუ-  
ლი პრობლემის საუკეთესო გადაწყ-  
ვეტად მიგვაჩნია.

**ზეპირ გაბრიელიძე,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.  
ოზურგეთი, ანასეული.

# ართონიერი კულტურების მცენარეთა დაცვის სამარხო სარეარაციო ტექნიკური განვითარების

USAID/REAP-ის პროექტის ფარგლებში სოფელ ტიმის „ვიჯიტას“ მაურნეობაში მორიგი სავალი სამინარი ჩატარდა, სადაც ფორმერები და სტუდენტები ფორმირდნენ და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ ასახელებას გაეცნო.

მცენარეთა დაცვის ოპერაციების ჩატარება მოზად საეციფიკური და ფარგლები საჭიროა. ამ ოპერაციების ჩატარების საფუძველს წარმოადგენს საეციფიკის მიერ სასოფლო-სამუშაოები სავარგულების ფილოსიანია-რულ გადამზადებაზე დაკვირვების მასალები, სადაც აღრიცხულია მავრებლების რაოდენობა, დაავალებასთა განვითარების ინფორმაცია, ნიაზა-გის დასარევლიანება და სევა, საეციფიკისტის, ვიცც ასეთ სამუშაოს ატა-რებას, ზუსტი მონაცემების შესაგროვებლად სტირლება მოგილური ლაგო-რატორის, მცენარეის დამზადი, ჰაერის დაგინარების საზომი ხელსაცემო, მცენარეთა დაავალების სიგნალიზაციონი და სევა.

## I. მცენარეთა დაცვის ოპერაციის დასაშემცველად უნდა გავითვალისწინოთ:

- მინის საგარეულის ზონალური კუთვნილება;
- დასამუშავებელი ნაკვეთის ფარ-თობი;
- საქცევის სიგრძე;
- ზღვის დონიდან ნაკვეთის ადგილ-მდებარეობის საშუალო სიმაღლე;
- ნაკვეთის დახრა;
- ნაკვეთის ფარდობითი ტენიანობა.

## II. აგროტექნიკური ღონისძიებების კი აუცილებელი მოთხოვნებია:

### თესლის იკუსტირებისთვის

მუშა ხსნარის მომზადება (პოლიმერები, პესტიციდები, წყალი), შენამვ-ლა; შემრობა; დასაწყობება.

ინსექტიციდით, ფუნგიციდით და სხვა სახის ქიმიკატებით თესლის ფე-ნობრივი დამუშავებისთვის:

მუშა ხსნარის მომზადება, აპეკის ნარმომქმნელი სამუშაო ხსნარებით თესლის თანაბარი დაფარვა (უთა-

ნაბრობის ხარისხი  $\pm 20\%$ ). თესლზე თითოეული სამუშაო ხსნარის ფენა უნდა შეშრეს! ალნიშნული ოპერაცი-ები თესვის წინა პერიოდში ან უშუ-ალოდ თესვის წინ ტარდება. თესლი სამუშაო სითხით მოცემული ნორ-მის შესაბამისად უნდა დაიფაროს და აუცილებლად გამრეს.

ჰერბიციდებით, ფუნგიციდებით, ბიოპრეპარატებით და ინსექტიცი-დო-რეტარდანტების ხსნარებით შეს-ხურებისთვის საჭიროა:

– შესხურების ვადების დაცვა: ჰერ-ბიციდების შეტანა თესვამდე და თეს-ვის შემდეგ;

ინსექტიციდის, ფუნგიციდების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერე-ბების შეტანა მცენარეთა აღმოცენე-ბის და ვეგეტაციის პერიოდში.

### შესხურების სახეები:

- სრული მოცულობით;
- მცირე მოცულობით;
- ულტრამცირე მოცულობით;
- ლენტური (სათოხნ კულტურებში).

სპეციალური საცდელი სადგურე-ბის და კვლევითი დაწესებულებე-ბის მიერ დადგენილ და აღნიშნული ზონისთვის რეკომენდებულ ტექნი-ლოგიებზე დაყრდნობით მცენარეთა დაცვის პროცესის ჩატარების ძირი-თადი აგროტექნიკური მოთხოვნები:

– მცენარეთა დაცვის ოპერაციების ჩატარების კალენდარული ვადები: განსაზღვრულია ნაკვეთის ზონალური კუთვნილების, მდებარეობის, გარემო პირობების, მეტეოროსადგურების საპ-როგნოზი მონაცემების შესაბამისად;

– კალენდარული ვადების გამოყე-ნების კოეფიციენტი – 0,6-0,8;

– ქარის დასაშვები სიჩქარე – არაუ-მეტეს 3 გ/ნმ;

– შესხურების ოპტიმალური პერი-ოდი დღის განმავლობაში – დღლა ან სალამო.

## შესხურების დოზები და დასაშვები გადახრები:

სრული მოცულობით შესხურები-სას მუშა ხსნარის ხარჯი:

ჰერბიციდების და ინსექტიციდე-ბისთვის – 200...300 ლიტ./ჰა;

ფუნგიციდებისთვის – 300...400 ლიტ./ჰა.

მცირე მოცულობით შესხურებისას მუშა ხსნარის ხარჯი:

ჰერბიციდების და ინსექტიციდე-ბისთვის – 50...150 ლიტ./ჰა;

ფუნგიციდებისთვის – 150...200 ლიტ./ჰა.

ულტრამცირე მოცულობით შესხუ-რებისას მუშა ხსნარის ხარჯი:

ჰერბიციდების და ინსექტიციდე-ბისთვის – 1...20 ლიტ./ჰა;

ფუნგიციდებისთვის – 5...20 ლიტ./ჰა.



სურ 1. ძელებიანი ბოსტონულის შემსხურებელი



## ლენტური შესხურებისას მუშა ხსნა-რის ხარჯი:

ჰერბიციდების და ინსექტიციდებისთვის – 100...150 ლიტ./ჰა;

ფუნგიციდებისთვის – 100....150 ლიტ./ჰა;

დასაშევები გადახრები შესხურების ნორმიდან  $\pm 20\%$ .

**თესლის შენამვლისას** – 10 ლიტ./ტონა. თესლის დაფარვა სამუშაო სითხით უნდა მოხდეს თანაბრად. უთანაბრობის ხარისხი  $\pm 20\%$ ;

კონკრეტულ შემთხვევაში მიეთითება შესმექიმიკატის დასახელება. მაგალითად: წინაკის შემთხვევაში ფუნგიციდი – მელოდი დუო, რიდომილ გოლდი და ა.შ.

## III აბრეგატის დაკავალებისა და სამუშაო სიჩერის შემთხვევა

**ტრაქტორი** – ირჩევა შემსხურებელი ტექნოლოგიური მანქანის მოდების განის, რეზერვუარის მასის და ტუმბოს სიმძლავრიდან გამომდინარე მათ მოქმედებაში მოსაყანად საჭირო სიმძლავრის მიხედვით. ტრაქტორი უნდა იყოს დახურული კაბინით და კონდენციონერით აღჭურვილი.

**შემსხურებელი ტექნოლოგიური მანქანის ტიპი და აუცილებელი მოთხოვნებია:**

– შემსხურებელი უნდა იყოს ძელებიანი, ან ვენტილატორული ტიპის. მუშა ორგანოს უნდა შეეძლოს ნისლისებური მასის შექმნა;

– აძრავა ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვიდან. ტუმბოს წარმადობა არანაკლებ 600 ლიტ./მ³ რომ შეიქმნას ნისლისებური მასა;

– მფრევებანადან ხსნარის ხარჯვის უთანაბრობა არაუმეტეს 5%;

– ფოთლის ზედაპირზე წინწელების სიხშირე არანაკლებ 70 ცალი/სმ;

– წინწელის დიამეტრი 200-500 მიკრონი;

მუშაობის დაწყებამდე წარმოებს აგრეგატის საკონტროლო გავლა,

შესხურების ხარისხის შემოწმება, ასევე, შეფრქვევის ნორმის და ნისლისებური მასის წარმოქმნის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეგულირებები;

– სამუშაოს დამთავრების შემდეგ აგრეგატი უნდა გაირეცხოს მთლიანად, გამოსუფთავდეს გამხსნელი საშუალებებით ავზი, მილგამტარები და მფრევებანები.

## V მცენარეთა დაცვის ოპერატორის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

მოცემულ საწარმოო პირობებში უნდა განისაზღვროს შემდეგი საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: სასოფლო-სამუშაო აგრეგატების საათური წარმადობა, საწვავის შრომის და ენერგიის საჭექტარო ხარჯი და ფულადი სახსრების დანახარჯები.

## VI შესრულებული სამუშაოს ხარისხის კრიტიკოლი

შესრულებულ სამუშაოს კონტროლს უნევს ოპერატორი მუშაობის პროცესში, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ ამონმებს აგრონომი. ამ დროს გამოიყენება სპეციალური ინსტრუმენტები და მონიტორინგები, რომლის საშუალებითაც მონმდება აგროტექნიკურ მოთხოვნებში მოცემული ყველა მაჩვენებელი: შესხურების სითანაბრე, დასაშვები გადახრები შეტანის დოზებიდან და ა.შ. გაზომვათა მინიმალური რაოდენობა: მცენარეთა დაცვის ოპერატორის ხარისხის შემოწმების შემთხვევაში 1 ჰექტარზე მინიმუმ 8 გაზომვა.

## VII შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები

შეამქიმიკატებთან მუშაობისას აუცილებელია შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული წესების დაცვა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება. სამუშაო სითხის მომზადება უნდა მოხდეს უშუალოდ დასამუშავებელ ნაკვეთებთან ახლოს, საცხოვრებელი და მეცხოველობისთვის განკუთვნილი ნაგებობებიდან მოშორებით.

შეამქიმიკატების და ჰერბიციდების შემტანი მანქანების გარეცხვა-განმენდის სამუშაოები უნდა ჩატარდეს მანქანათა დასაყენებელი ეზოს გარეთ მოთავსებულ სპეციალურ ბეტონის საფარიან მოედანზე, რომელსაც



სურ. 2 ფართო მოდების განიანი ბოსტნეულის შემსხურებლები



სურ. 3 ბოსტნეულის ტურბოშემსხურებლები

დრენაჟი და პერმეტული სპეციალური ფილტრებით აღჭურვილი (გაუონ-ვისგან დაცული) საწრეტი ჭა გააჩნია. დაუშვებელია ასეთი ტექნოლოგიური მანქანების გარეცხვა-განმენდის სამუშაოების ჩატარება გამდინარე წყალში ან ნარეცხი წყლის მდინარეში მოხვედრა.

რეკომენდებულია მცენარეთა დაცვის სამუშაოების ჩატარებისას 8-საათიანის მაგივრად 6-საათიანი სამუშაო დროს გამოყენება.

მცენარეთა დაცვის სამუშალებებთან/პესტიციდებთან მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დამცველი საშუალებებთ - კომბინეზონებით ან ხალათით, სპეციესაცმლით, რესპი-

რატორით, სათვალეებით, ხელთათმანებით და სხვა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ინდივიდუალური დაცვის სამუშალებები უნდა გაიწმინდოს და შეინახოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე. მცენარეთა დაცვის სამუშალებებთან მუშაობის პროცესში დაუშვებელია მანქანის მოძრაობის ან მუშაობის მომენტში ჭანჭიკებისა და ქანჩების მოჭრა, წნევის ქვეშ მყოფი რეზერვუარების გახსნა, შემსხურებლის მუშაობა მანიმეტრის გარეშე და სხვა.

მანქანათა ავზები და სხვა ნაწილები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ სამუშაო ნაზავის წვეთები არ ხვდებოდეთ მანქანაზე მომუშავე პირებს.

პესტიციდებთან მომუშავების მუშაობის პროცესში ეკრალებათ ჭამა,

თამბაქოს მოწევა. ჭამის წინ აუცილებელია რამდენჯერმე საპნით ხელპირის დაბანვა.

მინდვრის სამუშაოების ჩატარება ძნელად გასაანიავებელ მაღალმოზარდ კულტურებზე მშრალ, ცხელ ამინდში შესხურებიდან 2 კვირის შემდეგაა დასაშვები.

ნათესების დამუშავება მცენარეთა დაცვის სამუშალებებით რეკომენდებულ ვადებში უნდა ხდებოდეს. განსაკუთრებით მკაფრად უნდა დავიცვათ მოსავლის ალების წინ ნათესების ბოლო შესხურების ვადები.

**ოთა ცამოვალი,  
USAID/CNFA-ის სოფლის მეურნეობის  
ექსპერტი/კონსულტანტი**

## გერმანული აგრარული განათლების სისტემა მთლიანდებობის დაფინანსირებული

ნიკოლოზ ხუციანიძე იმ მრავალ ქართველ ახალგაზრდა საეციალის-თოა შორის ერთ-ერთია, 2005 წლის მარტის 1-ით გამოაცილა გარმანიაში, მსოფლიოს ცენტრი კომპანია.

იგი თბილისში რეზაპციაში სტუმრობისას გავიცანი, საქმიან შეხვედრაზე. ვფიქრობ, ურიგო არ იძნება, მას თუ მკითხველსაც გავაცნობ, რადგან ვთვლი, რომ ასეთი ახალგაზრდები ის სიმღიდრეა, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ძველას დიდად წაადგება.

ნიკოლოზ ხუციანიძემ 2010 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-პუნქტის მანიტარული ფაკულტეტი აგრობიზნესის მენეჯმენტის სპეციალობით.

შემდეგ გაცვლითი პროგრამით გაემზადა გერმანიაში და 2013 წელს დაამთავრა მაგისტრატურა გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ვაინზტეფან-ტრისდორფი თანამშრომლობდებენ ერთმანეთთან. ყოველ წელს ჩამოდიოდა გერმანიდან პროფესორი, რომელიც კონკურსის

დორფში, აგრობიზნეს-მენეჯმენტის ფაკულტეტი. ინტერესის სფერო - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

როგორც ნიკოლოზი მისმანის, 2012 წლამდე საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტი და გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ტეტაპი ვაინზტეფან-ტრისდორფი თანამშრომლობდებენ ერთმანეთთან. ყოველ წელს ჩამოდიოდა გერმანიდან პროფესორი, რომელიც კონკურსის



წესით ატარებდა გამოცდებს გერმანულ ენაში. გერმანულ ენაში გამოცდა პირველი ეტაპი იყო, მეორე ეტაპი გულისხმობდა გასაუბრებას. გამოცდებიდან 2-3 კვირის შემდეგ ცნობი-

ლი ხდებოდა შედეგები და შერჩეულ სტუდენტებს უგზავნიდნენ მოწვევას.

გამოცდებამდე 2-3 თვით ადრე გვიტარდებოდა ლექციები გერმანულ ენაში. გერმანული ენის კურსებიც უფასო იყო.

მინდა აღნიშნო ისიც, რომ გერმანიაში გასამგზავრებლად არც ერთი თეთრი არ დამიხარჯავს. ფრენის ხარჯებიც კი გერმანიის მხარემ გაიღო.

მაგისტრატურის პირველი სემესტრი ოჯახურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ფერმებში 6-თვიან პრაქტიკას ითვალისწინებს. ამ 6 თვის განმავლობაში ცხოვრობ და პრაქტიკას გადიხარ ფერმერის ოჯახში.

პრაქტიკა მელორეობის ფერმაში გავიარე, რომელსაც 70 ჰა-მდე სახნავ-სათესი მიწები აქვს. თავიდან პრაქტიკა იოლად არ წარიმართა, მაგრამ რამდენიმე თვეში ავითვისე როგორც

და უკვე შემდგომში გიადვილდება საქართვლოს სოფლის მეურნეობასა და გერმანიის სოფლის მეურნეობას შორის პარალელური გავლება.

პრაქტიკის განმავლობაში თვეში ერთხელ მეცხოველეობასა და მემკენარეობაში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში უნივერსიტეტში ერთკვირიანი თეორიული ლექციები გვიტარდებოდა.

6-თვიანი პრაქტიკის ბოლოს კვლავ ჩაგვიტარდა გამოცდები გერმანულ ენაში და აგრარულ ეკონომიკაში. ეს გამოცდები მნიშვნელოვანი იყო, რადგან მხოლოდ გამოცდებში ზღვარდაძლეულ სტუდენტებს პქნდათ სწავლის გაგრძელების უფლება.

წარმატებით ჩავაბარე გამოცდები და სწავლის განმავლობაში დანიშნული მქონდა სტიპენდია, რომლის ხარჯზეც ვცხოვრობდი გერმანიაში.



სასაუბრო ენა, ასევე მუშაობის პრინციპიც და კველაფერი მოწერილი და.

პრაქტიკა მოიცავდა ცხოველებთან და ტექნიკასთან მუშაობას, რომელიც უნდა აღნიშნო, რომ ძალიან საინტერესო იყო. ამასთან ერთად ვეცნობოდი გერმანულ კულტურას და მენტალიტეტს. გავიჩინე ძალიან ბევრი მეგობარი, რომლებთანაც დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს.

ასეთი პრაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ხნის განმავლობაში გაქვს შესაძლებლობა სრულყოფილად აითვისო ენა და პრაქტიკულად ნახო როგორ არის გამართული პირველადი პროდუქციის წარმოების მთლიანი ციკლი: რამდენი ხანი რჩებიან გოჭები დედასთან, როდის უნდა მოხდეს გოჭების ასხლეტა, გოჭებს როდის და რატომ უნდა დაეჭრას კუდები, რა საკვები უნდა მიანოდო, როგორი ტემპერატურა და ტენიანობა უნდა დაიცვა და ა.შ. პრაქტიკაზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება, დამეთანხმებით, ძალიან ეფექტიანია

სწავლაზე ვიყავი მთლიანად გადართული და დამატებითი შემოსავლის წყაროების ძიება არ მჭირდებოდა.

სწავლის პერიოდში გავიარე სავალდებულო პრაქტიკა უკვე დიდ საერთაშორისო ფირმა დოიც-ფარში (Deutz-Fahr), რომელიც აზარმოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მთელ მსოფლიოში ყიდის. 2 თვის განმავლობაში დასაქმებული ვიყავი მარკეტინგისა და ექსპორტის განყოფილებაში. მყავდა პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც ფირმას მაცნობდა, მასნავლიდა და მიხსნიდა კომპანიის მუშაობის პრინციპებს.

დღესდღეობით ვმუშაობ კომპანია Fliegl Agrartechnik-ში ექსპორტის მენეჯერად კავკასიის რეგიონში. ჩვენი კომპანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, კერძოდ სპეციალურ სატვირთო მისაბმელ ტექნიკას აზარმოებს. სამსახური საკმაოდ საინტერესოა და მე ვფიქრობ პერსპექტიულიც.

- ამის გარდა რა შეგიძლია გვითხრა გერმანულ აგრარული განათლე-

**ბის სისტემაზე, სპეციალისტების მომზადებაზე?**

- გერმანული აგრარული განათლების სისტემა მთლიანად აგებულია პრაქტიკაზე. პრაქტიკას უჭირავს 40 %, თეორიას - 60 %. მსგავსი მიდგომა მართებულია, რადგან სოფლის მეურნეობა ისეთი დარგია, თუ პირადად არ გექნება შეხება მეცხოველეობასთან, მეფრინველეობასთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან, შენი ცოდნა იქნება ზედაპირული. პრაქტიკაზე დაყრდნობით მიღებული ცოდნა უფრო ეფექტურიანი და გამოსადევგია.

სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების მიღება, აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ 6-თვიანი საწარმოო პრაქტიკის გავლა ფერმერულ მეურნეობებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გერმანიაში ბევრი ახალგაზრდა არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობით და პრესტიულადაც ითვლება, რასაც, სამწუხაროდ, ქართველ ახალგაზრდებზე ვერ ვიტყვით.

სწავლის დასრულების შემდეგ სპეციალისტებს აქვთ შესაძლებლობა პროფესიით დასაქმდნენ. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 80-90 % დასაქმებულია გერმანიის ბაზარზე და აქვე მინდა აღნიშნო, რომ 2012 წელს გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების ვაინტეფან-ტრის-დორფის უნივერსიტეტი დასახელებული იყო 10 საუკეთესო უნივერსიტეტის შორის ეკროპის მასშტაბით.

- რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოში ამ მხრივ, თუ გაძვით ურთიერთობა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ან ტექნიკური უნივერსიტეტის ავრარულ ფაქულტეტთან?

- სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა შენებულია ჩვენთან თანამშრომლობა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ არ ისურვა, რომ სტუდენტებისთვის სათანადო და სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა პროექტის შესახებ. აქედან გამომდინარე, სტუდენტების მხრიდანაც დაინტერესება არ იყო და სამწუხაროდ თანამშრომლობაც შენებდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ ფაქულტეტთანაც ურთიერთობა არ გვაქვს. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა თანამშრომლობასთან დაკავშირდებით, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. იმედი გვაქვს, მომავალში რამე შეიცვლება უკეთესობისკენ.

- თქვენი შეხედულებით, რას ნარმადებს გერმანიის სოფლის მეურ-

ნეობა, რა პრინციპზეა ავებული, რა გამოცდილება უნდა გაიზიარონ გერმანელი ფერმერებისგან ქართველმა ფერმერებმა?

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა განვითარების იმ დონეზეა, რაზეც გერმანია 50-60 წლის წინათ იმყოფებოდა.

თვითონ სახელმწიფოა დაინტერესებული, რომ დაიცვას ადგილობრივი ფერმერი. არსებობს სადაზღვევო პროგრამები, დაბალპროცენტიანი სესხები სპეციალურად ფერმერებისათვის. გერმანიის ბაზარზე ვერცერთი პროდუქტია ვერ შემოდის იმაზე დაბალ ფასად, რაც რეალურად უჯდება ფერმერს. ყოველივე კეთდება იმისთვის, რომ ადგილობრივი მეწარმე იყოს კონკურენტუნარიანი და არ შეწყვიტოს არსებობა, ჰქონდეს მოტივაცია. რადგან გერმანიაში ინდუსტრიის სექტორი ძალიან არის განვითარებული, მთავრობამ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ის ნედლეული, რასაც



ფერმერები აწარმოებენ, რომელსაც შემდეგ გადამამუშავებელი ქარხნები ამუშავებენ და წარმოებულ პროდუქტიას მეტ ლირებულებას სძენენ.

აგრარულ პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის პოლიტიკაში. კრიზისის პერიოდში, როდესაც მაგალითად რძის ან ხორცის ფასი წარმოების ხარჯებზე დაბალია, სახელმწიფო ცდილობს შეისყიდოს ეს პროდუქტია იმ ფასად, რომ ფერ-

მერებმა შეძლონ წარმოების ხარჯების დაფარვა და არ გაკოტრდნენ.

ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რადგან ეს დარგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლის გაკონტროლებაც ფერმერს არ შეუძლია – კლიმატური ფაქტორები, პოლიტიკური მდგომარეობა, ფასების ვარდნა ბირჟებზე და ა.შ.

**ესაუბრა ნისაზადელი**

## GMO

# გენური ინჟინერია: პო თუ არა?

ჩართულ პრესაში იშვიათად, მაგრამ გაიცე იგეზე-გა გასალები გენერიციული პროდუქტების შესახებ, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობის მანიცე გაუზრკვევები შეიძლება იყოს – რა არის გენური ინჟინერია – ანუ გენერიციული პროდუქტი, ვარგისია თუ არა მისი გამოყენება ადამიანისთვის, შეიცავს თუ არა გარკვეულ საფრთხეს და ა.შ.

მართალია, შარშან შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა „ცოცხალი გენმინიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონბროექტი, მაგრამ როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს დოკუმენტი ამ სახის პროდუქტების საბაზო ქსელში განთავსებასთან დაკავშირებით რეგულაციებს არ ითვალისწინებს, თუმცა მიესალმებიან კანონის მიღებას.

ბოლოს და ბოლოს – რას ნიშნავს გენური ინჟინერია, რა სახის ნივთიერებებს შეიცავს ამ მეთოდით გამოყვანილი ან მიღებული პროდუქტი? ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი მედა გიორგი მალრაქმ. ბატონი გიორგი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. იგი არის აგრეთვე „მწვანეთა მოძრაობა – დედმინის მეგობრები“ – საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს კოორდინატორი, ამასთან წლების მანძილზე იშვიათა გულმოდგინებით მუშაობს ამ თემაზე:

მაშ ასე – გიორგი მალრაქმ:

**– რა არის გენური ინჟინერია?**

– გენური ინჟინერია არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს გენებით მანიპულირებას. მეცნიერებს შეუძლიათ ერთი სახეობიდან გენები გადაიტანონ მეორე, საერთოდ არამონათესავე სახეობაში. ეს შესაძლებელია გენტიკური კოდის უნივერსალურობის წყალიბით, იგი ერთია ყველა ცოცხალისათვის, იქნება ეს ცხოველი, მცენარე თუ მიკრობაგანიზმი. მაგალითად, შესაძლებელია გენების გადატანა თევზიდან პომიდორში იმისათვის, რომ გავხადოთ პომიდორი უფრო ყინვაგამძლე. გენეტიკურად მოდიფიცი-

რებული პომიდორი მასში ჩაშენებული თევზის გენის საშუალებით უკვე იწყებს თევზისათვის დამახასიათებელი ცილების გამომუშავებას და შესაბამისად ხდება უფრო ყინვაგამძლეც.

გენური ინჟინერიის მომხრები ხშირად ამტკიციებენ, რომ ისინი იგივე საქმიანობას ეწევიან, რასაც ჩვეულებრივი სელექციონერები, მხოლოდ უფრო სწრაფად და მეტი სიზუსტით. მართლაც, სელექციის დროსაც შეიძლება მოხდეს გენების გადაცემა, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ინდივიდებს, ანდა ძალიან მონათესავე სახეობებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეუჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშებს, მაგრამ ვერასოდეს შეუჯვარდება მინის თხილს ან ვაშლს. გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ასეთი ბარიერი არ არსებობს. მისი საშუალებით შესაძლებელია ბუნების მიერ მიღლიონობით წლების განმავლობაში დანესებული სახეობათა შორისი საზღვრების დარღვევა. აქამდე არასოდეს ყოფილა შესაძლებელი ცხოველიდან მცენარეში, ან ბაქტერიიდან ადამიანში გენის გადატანა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნათესაურად ახლომდგომი სახეობების შეჯვარება მოხდა, მიიღება უნაყოფო შთამომავლობა, რითაც ბუნება ინარჩუნებს სახეობათა მრავალფე-





როგორებას. გავიხსენოთ თუნდაც ჯორი, ცხენისა და ვირის უნაყოფო შთამომავალი. გენური ინჟინერის შემთხვევაში კი არამონათესავე სახეობების გენების კომბინირებისა და მათი გენეტიკური მატერიალის შეცვლის შედეგად იქმნება ახალი ცოცხალი ორგანიზმები, რომელთაც აქვთ გამრავლებისა და შთამომავლობის მოცუმის უნარი. რა შედეგები შეიძლება მოცყვეს ასეთი ორგანიზმების ბუნებაში გამოთავისუფლებას? არის კი უსაფრთხო ასეთი მანიპულაციები? დღეს ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა არავის შეუძლია. ყველაზე გამოცდილ მცნიორებაც კი არ ძალუს იმის განსაზღვრა, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანსა და ბუნებას ამდაგვარად გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ბუნებაში გავრცელებამ.

**– და მაინც, უსაფრთხოა თუ არა გენმოდიფიცირებული ორგანიზმები გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის?**

– გენმოდიფიცირებული ორგანიზმები არის ცოცხალი არსებები, მათ შეუძლიათ გავრცელება და გამრავლება. მათ შეუძლიათ თავიანთი გენების გადაცემა ველური სახეობებისათვის. ბუნებაში გაშვების შემდეგ უკვე შეუძლებელი იქნება მათი უკან გამოხმობა. მათი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- გენმოდიფიცირებული მცნიარეების მტვერი შეიძლება გადაეცეს გარეულ სახეობებს.

- შეიძლება განვითარდეს მავნე მწერებისა და დაავადებისადმი მდგრადობა

- გენმოდიფიცირებულმა მცნიარეებმა შეიძლება დააზიანონ ნიადაგის მიკროფლორა

- გენმოდიფიცირებული ცხოველები უფრო სწრაფად და დიდები იზრდებიან, ამავე დროს უფრო გამძლენი არიან დაავადებებისადმი. ბუნებაში მოხვედრის შემთხვევაში ისინი დაჩაგრავენ ან სრული განადგურების საფრთხეს შეუქმნიან მათ გარეულ წინაპრებს.

- უამრავი გენმოდიფიცირებული ბაქტერია და ვირუსი იქმნება სხვადასხვა მიზნებით. თუ ისინი განზრას ან უნებლივდ მოხვედებიან ბუნებაში, ეს გაცილებით მეტ პრობლემას შეუქმნის გარემოს, რადგან ბაქტერიები და ვირუსები გაცილებით სწრაფად მრავლდებიან და მათში მუტაციები უფრო ხშირად და ადგილად ხდება.

- საერთოდ გენური ინჟინერია ნარმოადგენს ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის ახალ მიმართულებას და კიდევ უფრო მეტადაა ორიენტირებული ბიომრავალფეროვნების შემცირებაზე.

**– ახდენს თუ არა გავლენას გმო ჯანმრთელობაზე?**

